



შინაარსი: უცხოეთიდან. სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში (შეუღვი) ნ. ჟორდანიასი. — სხვა-და-სხვა ამბავი. — „კვალის“ კორესპონდენციები. — ჩემს მუნას, ლექსი ბ. დავითაშვილისა. — წერილი რედაქციის მიმართ, ვნ. მარიამ სიღამონ-ერისთავისა. — მცნების გაცემა. — ფილეტონი ფ. შემოქმედლისა. — \* \* \* ლექსი ლასინისა. ჩვენი მწერლობა ი. ნაკაშიძისა. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — კარცერი და ტყეჭორა, ძველის ძველი ამბავი (გაგრძელება) პ. გიოთასი. — „კვალის“ ფოსტა და კერძო განცხადებანი. —

## ს ა ქ ე თ ი დ ა ნ .

სოფელი და სასოფლო სკოლა გერმანიაში

II \*)

ს კ ო ლ ა .

**ს**ოფელათ მკითხველს წარუდგენ სწავლის პრაქტიკულ მიმდინარეობას ორ და ერთ კლასიან სკოლაში. ჩვენ ავწერეთ ისე, როგორათა ც გვიჩანავს და დღიურში ავინუსხავს.

სოფ. დომელი.

16 აგვისტო (1895 წ.). ორ-კლასიანი სასწავლებელი, მოთავსებულია სოფლის სასამართლოს შენობაში. მალა სართულზე შეკოლა და უფროსი მასწავლებლის ბინაა, დაბლა სასამართლოს დარბაზია. მეორე მასწავლებელი დგას იქვე გვერდით აშენებულ სასოფლო შენობაში შენობა ხისაა. სკოლაში მივედი დილის 8 საათზე. შენობის წინ და კიბეზე

ბავშვების გროვა დამიხვდა თავიანთი სასწავლო ნივთებით. — რას აკეთებთ აქ? ვკითხე. — გაკვეთილის გამოსვლას ეუცდით, ჩვენი ჯერი ჯერ არ მოსულაო, ესენი იყვენ 7 წლის ბავშვები, რომელთა სწავლა ჩვეულებრივ გვიან იწყება და ადრე თავდება. იქვე იდგენ მესამე განყოფილების მოსწავლენი, ესენიც მეოთხე განყოფილების გაკვეთილის გათავებას ელო-ან. ავედი მალა, ერთი დარბაზის კარზე წერია: „მეორე კლასი“, მეორეზე წერია: „პირველი კლასი“. მე „პირველზე“ მივარახუნე, მაშინვე გამოვიდა უფროსი მასწავლებელი, რომელმაც უკვე იცოდა ჩემი მისვლის დრო და თავაზიანათ სკოლაში შემოიპატი-ჟა. დარბაზი ვეებერთელაა, ხოლო ბავშვთა რიცხვი სკამების მესამედსაც ვერ ფარავდა. მასწავლებელმა მოთხრა: აქ შაოლოთ ქეთზე განყოფილებაა, მესამე ჯერ არ შემოსულაო. დაფაზე გაკრულია გერმანიის დიდი ქარტა, რაიცა აქტიკებს, რომ გეოგრა-ციის გაკვეთილი უნდა იყოს. კედლებზეც სხვა-და-სხვა ქვეყნის ქარტებია, მაკიდაზე ორი გლობუსიც დგას. კუთხეში მიდგმული შუაფი წიგნებით არის გატენილი, განსაკუთრებით სახელმძღვანელოებია. მასწავლებელმა ამხსნა: ჩემი ბიბლიოთეკა ჩემ სა-

\*) ის. „კვალი“ № 38.



მუშაო კაბინეტში მაქვსო. უფროს მასწავლებელს აბარია მესამე და მეოთხე განყოფილება უმცროს პირველი და მეორე. მოწაფეთა რიცხვია 92, ამათში 60 პირველ კლასშია. ჩემ შესვლაზე ბავშვებმა ყურები აცქვიტეს და დამაშტერდნენ, მარა მასწავლებელმა მათი ყურადღება მაშინვე ქართას მიპყრო და გააგრძელა გაკვეთილი. გეოგრაფიის სწავლება ასე მიმდინარეობს: მასწავლებელს გერმანია გაუყვია იმდენ ნაწილათ, რამდენიც დიდი მდინარეებია, და თითოეულ ნაწილს ასწავლის. დღევანდელი გაკვეთილი შეიცავს რენის ხეობას. კითხვა: ჩამოთვალეთ რენის ნაპირას მდებარე შესანიშნავი ქალაქები, ციხე-სიმაგრენი და შეენიერი ბუნებით შემკული ადგილები. ბავში დგას დაფასთან და უგებს.—რით არის შესანიშნავი ქ. მეცა? პასუხი: მით რომ ნაპოლონ მესამე დამარცხდა და ქალაქი ავიღეთ.—რომელ რიცხვს?—2 სექტემბერს.—რა ხეობები იცით კიდევ?—ელბის; მეორე შეგირდი შეუდგა ელბის ხეობის შესწავლას. ეს გაკვეთილი გათავდა 9 საათზე და მესამე განყოფილების ბავშვებიც შემოვიდნენ და სულ-განაბლათ დასდნენ თავიანთ ალაგას. მასწავლებელმა მითხრა: ახლა კი უნდა წარგადგინოთ ბავშვების წინაშე. მეც დავეთანხმე, აბა, ენაზე რა გეოგრაფიის მცოდნენი არიან თქვენი მოწაფენი-მეთქი, ეუთხარი. მასწავლებელი კითხავს: აბა, ვინ მეტყვის სად არის კავკასია? მეოთხე განყოფილების ბავშვებმა ხელი აიშვირეს. წამოხტა ერთი და მკვირცხლათ სახლერები შემოუარა.—აბა, ვინ მეტყვის რა და რა ხალხი ცხოვრებს კავკასიაში? ბავშვებმა ჩამოთვალეს: რუსები, თათრები, ჩეჩენები და სომხები.—კადევ? შესძახა მასწავლებელმა. ბავშვები დაფიქრდნენ; ვიღაცამ წამოიძახა ქართველებიო.—რით არის შესანიშნავი ქართველი ხალხი? ახლა ყველამ ხელი ააშვირა. წამოდგა ერთი ქალი: ქართველები შესანიშნავია იმით, რომ ყველაზე უფრო შეენიერია მთელ დედამიწაზე.—ხო და, ეს სტუმარი ქართველიაო, დაატანა მასწავლებელმა. ბავშვებმა შექმნეს ერთი ჩურჩული; მე კი მასწავლებელს საყვედური განუცხადე: რატომ გამაწითლე ბავშვების წინაშე-მეთქი. მან სიცილი დაიწყო, ჩვენ სახელმძღვანელოში ქართველების შესახებ ამის მეტი არაფერი წერიაო. მე კითხვე: ეს საიდან წარმოდგება, რომ დიდებს ვერ გავაკებე ჩემი ენაობა, როცა ქართველის სახელით გავეცანი, მაშინ როდესაც ბავშვებს კი ცოდნიათ-მეთქი.—ეს უქველას იმ ტომ, რომ სკოლაში ნასწავლი ავიწყდებოთ. მით უფრო რომ მთელ სკოლაში ქართველობის შესახებ ვერას წაიკითხავ და გაიკონებო,—მომიგო მასწავლებელმა. მესამე განყოფილებას დასაწერათ მიეცა ერთი სასიძღვრო ლექსი, მეოთხე

განყოფილებას კატეხიზმოს გაკვეთილი აქვს, რასაც ადგილობრივი მღვდელი ასწავლის ეკლესიაში. მესამე განყოფილება შეუდგა წერას, დანარჩენი კი ეკლესიაში გავმეზავრეთ. მასწავლებელი მოუჯდა ფორტოპიანოს და დაუკრა, ბავშვებმაც ხმა ააყოლეს და ერთა საეკლესიო საგალობელი იგალობეს. ამ დროს შემოვიდა მღვდელი, ჩაღვა ბავშვებს შუა და დაიწყო კატეხიზმოს ასწავლა. ყველას სახელმძღვანელო უჭირავს და თვალ-ყურს ადევნებენ. ახსნა გათავდა, წიგნიც დახურეს და მღვდელმა კითხვები მისცა: რა სარწმუნოების ხარ? რას ქვია ქრისტიანობა? რა არის ნათელა? და ასე ბოლომდინ. შეგირდები უკვებდნენ, როცა შეეშლებოდათ, რამდენიმე ჯერ ერთ ხმათ გაიმეორებდნენ. ეს გაკვეთილი ნახევარ საათს. მასწავლებელმა ისევ საკრავი დაუკრა და ბავშვებმა გამოცდის გალობა ააყოლეს. შეგბრუნდით სკოლაში. მესამე განყოფილებას წერა (დავებზე) უკვე გათავებია, მასწავლებელმა მოაგროვა ორივე განყოფილება და სიმღერა დააწყებია, ამასთანავე მითხრა: პატრიოტული სიმღერები უნდა ვამღერო, რადგანაც დღეს ჩვენ ელდესასწაულობთ 25 წლის საფრანგეთზე გამარჯვების იუბილისიო. ბავშვებმა ამოიღეს ლექსთა წიგნი და იმღერეს ორი საერო საგალობელი: „გერმანია, გერმანია“ და „ღარაჯი რეინზე“. აგრეთვე „გამარჯვების სიმღერა“ და სხვ. აი, პირველის თარგმანი: „გერმანია, გერმანია, ყველაზე მაღლა, ყველაზე მაღლა მთელ ქვეყანაზე, როდესაც მისი შვილი თავიანთი თავის დასაცავათ ძმურათ ერთმანეთს ეხმარებიან; გერმანიის ჩვეულებამ, სიყოჩაღმ და სახელმა მთელ ქვეყანაზე თავისი ძველი კაი ხმა განამტკიცოს; ერთობა, უფლება და თავისუფლება გერმანიისა სამშობლოსათვის, ჩვენ ყველანი ხელი-ხელ გაუროლინი ამ მიზნისაკენ მივიღებთ“ და სხვ. სიმღერის გათავებას შემდეგ მასწავლებელმა ასეთი სიტყვით მიმართა: დღეს ჩვენ ელდესასწაულობთ ჩვენი განდიდების 25 წლის იუბილისს. 14, 15 და 16 აგვისტოს (1870 წ.) ჩვენი ჯარი შეებრძოლა ფრანგთა მხედრობას და გავიპარჯეთ, მტრის სარდალი მანენი დამარცხდა. ამ ომში გაწყდა 16 ათასი ფრანგი 16,500 ჩვენები, მაგრამ ამით ყველაფერი მოკვდით, გავხდით ის, რაც დღეს ვართ—შვილი გაერთიანებული და გაძლიერებული სამშობლოსი. ამნაირათ დღევანდელი დღე დიდი დღეა. შემდეგ გადაშალა ქრისტომატა და წაიკითხა ომის ამბავი, როგორი მამაცობა გამოიჩინეს გერმანელებმა და სიღაჩრე ფრანგებმა. ბოლოს ავალობა კიდევ რამდენიმე პატრიოტული ლექსი და გაკვეთილიც გათავდა. მეოთხე განყოფილება სახლში წავიდა, დარჩა მესამე განყოფილება. აქ ათი წუთი დასვენება.



გაკვეთილი დაიწყო ათ საათზე. ბავშვები რიგ-რიგით ამბობენ გადაწერილ ლექსს ზეპირათ, იმავე დროს მეორე რიგის ბავშვებს დაწერილი დაფა მასწავლებელთან გამოაქვთ გასასწორებლათ. ის კიდევაც ასწორებს და კიდევაც უკრს უგდებს. მეოთხე განყოფილების რამდენიმე შეგირდი დეტოვებია, რადგანაც საანგარიშოა რიგინათ ვერ გამოეყენათ. ამით გაასწორეს თავიანთი შეცდომები, უჩვენეს მასწავლებელს და წაიღენ. შემდეგი გაკვეთილის დროს ბავშვებმა ამოიღეს სახელმძღვანელო, წოდებული „საკითხავი წიგნი“ (Lesebuch), რაიცა ჩვენ „ბუნებისკარს“ წააგავს (სახელმძღვანელოების შესახებ ქვევით მოვილაპარაკებთ). გადაშალეს გეოგრაფიის განყოფილება და შეუდგენ „გერმანიის სახელმწიფოს“ კითხვას. თითოეული თითო წინადადებას კითხულობს, შემდეგ იჩყება წაკითხულის გარჩევა. პირველათ სახელი არსებითი. შეგირდი კითხულობს მხოლოდ სახელი არსებითი სიტყვებს და არჩევს როგორ იჩყება, რა სქესისაა და სხვ.; შემდეგ ამნაირათვე არჩევენ შესმენილს, ზმნას და სხვ. წიგნები შეინახეს და დაფები ამოიღეს. დაიწყო დიქტანტი. მასწავლებელი ამბობს სამ-ოთხ სიტყვას ერთათ (არა მთელ წინადადებას), ერთი შეგირდთაგანი იმეორებს და მერე წერენ, ასე ბოლომდის. წერა გაათავეს და დაფები ერთმანეთს გაუცვალეს, გადაშალეს წიგნი და დაწერილი ორიგინალს შეუდარეს. შეცდომებს ხაზი გაუსვეს და დაფები ისევ პატრონებს ჩააბარეს. მასწავლებელი კითხავს: ვის არ აქვს შეცდომა? უმრავლესობა ხელს აშვერს. ვის აქვს ერთი? რამდენიმემ ხელი ააშვირა. ორი? ორმა ააშვირა ხელი, სამი? არც ერთს. იამა. — გაასწორეთ! და ბავშვებმაც საჩქაროთ გაასწორეს. ნახევარი საათი კიდევ ანგარიშის გაკვეთილს მოანდომეს. განსაკუთრებით დიდი ციფრების წაკითხვას და დაწერას. 12 საათზე გათავდა და ბავშვებიც სახლში წაიღენ.

მკითხველს მოეგონებთ, რომ თითოეული განყოფილება შედგება ახალი გადმოყვანილი და ძველი მოწაფეებიდან. მასწავლებლის კითხვები და განსაკუთრებითი ყურადღება მიმართულია უკანასკნელებისაკენ, ესენი უკვებენ, პირველნი უსმენენ, ამით იშვითათ შეხვედრათ რაიმე საპასუხო. ხოლო წერაში და კითხვაში კი ორივენი ლებულაობენ მონაწილეობას. ერთი სიტყვით, მასწავლებლის მიზანია ძველებს ერცელი და ბევრითი ცნობა მისცეს ამა თუ იმ საგანზე, პატარებს კი საზოგადო წარმოდგენა, რომ მომავალ წელს ამათაც ერცლოთ ასწავლოს.

სიტყვა „ძველი“ ან „ახალი“ მოწაფე აქ ხმაურებაში არ არის. ამით მაკვირ ხმარობენ წლოვანებას. მაგ., 7 წლის უთუოთ პირველ განყოფილება-

შია; 8 და 9 წლის უთუოთ მეორეში და ასე ამნაირათ. როცა გებულობ, აი, ეს ბავში 10 წლისაა, ამით იმასაც გებულობ, რომ ის მესამე განყოფილებაში ერთი წელი ზის, 11 წლის კი იმავე განყოფილებაში ორი წელია, რადგანაც ერთ და იმავე საგანს ორ ხელ სწავლობენ. ბავშვის ერთ და იმავე ალაგას ორ-ხელ დარჩენა იშვითათა. ძალიან გამოჩერჩეტებული უნდა იყოს, რომ ორ წელს საგანი ვერ შეისწავლოს და შემდეგ განყოფილებაში ვერ გადავიდეს. ასეთი მაკალითი ძლიერ იშვითათა. მასწავლებელმა მითხრა: 9 წელია აქ ვარ და ასეთი შემთხვევა არ მქონია; თუ რომელიმე ბავშს სისუსტეს შევატყობ, იმას განსაკუთრებით ვასწავლი გაკვეთილებს შემდეგ და ამნაირათ მოკლე დროში ამხანავთ გაუთანასწორდება.

ნ. ჟორჯანიას.

(შემდეგი იქნება)

### სხვა-და-სხვა ამბავი.



ფიციალური ორგანი ეჩმიაძინის საპატრიარქოსისა „არაჩატი“ იუწყება, რომ თანახმათ ცნობისა, რომელიც მიიღო სომეხთა კათალიკოსმა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, უცხო აღსარებათა დეპარტამენტის დირექტორი, ბ. მასალოვი და „პეტერბურგის უწყებათა“ რედაქტორი, თავადი უხტომსკი მიდიან ეჩმიაძინში სახელდობ ზოგიერთ სომხურ სასწავლებლების მდგომარეობის გასაცნობლათ (Нов. Обоз.).

\* \*

დაკვიდვა შემოდგომა და ყველა სწავლის მსურველნი ბინაელებიან. მგონი არ არის ისეთი სასწავლებელი, რომელსაც გარს არ დაეტოვებინა უადგილობის გამო ყმაწვილები ისე, რომ ზოგმა ატეხა კიდევ ლაპარაკი კერძო გიმნაზიის გახსნაზე. მეტადრე საქალაქო სკოლები ჩაეარდენ განსაცდელში, როგორც ამბობს „Гид. Пустокъ“-ი, მთხონელი ყოფილა 500 და მიუღიათ მხოლოდ 240 სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. აგრეთვე იწყება სახალხო კითხვები და საკვირაო სკოლებში სწავლა, მაგრამ კარკი იქნება ყურადღება მიაქციონ, რომ ყველასთვის გასაგებათ მოიწყოს ეს საქმეები.

\* \*

ჩვენ საქალეზო ინსტიტუტში ემატება 13 სტი-



პენდია იმ 104 სტიპენდიიდან, რომელიც არის დანიშნული ყველა რუსეთის ინსტიტუტებისთვის სამხედრო უწყებიდან.

\* \*

დიდი ხანია ისეთ ძრიელ მიწის-ძვრას არ მოვსწრებივართ, როგორც იყო 10 ენკენისთვის დილის 7 საათ. და 50 წამზე. ხალხი დაშინებული გამოარბოდა სახლებიდან, ეგონათ ქერი გვექცევა თავზეო. იმ დღეს ზოგიერთ სასწაულებლებში დიონთხავეს კმაწილები, რადგანაც დაზარალდა შენობები: დაირღვა კედლები, დაიღწაა შუშები და ჩამოაციებული გაჯის მტერი ხომ თავზარს ცემდა ოთახებში დარჩენილ ხალხს. ჩვენ არ ჩამოეთელით ყველა დაზარალებულ შენობებს, ის კი უნდა ეთქვათ, რომ უმეტესი ნაწილი დიდრონი, ახალი შენობებია. რას იტყვიან ახლა ჩვენი ხუროთ-მოძღვრები, რომელთაც სიცილით არ ჰყოფნიან, როდესაც ნახავენ ჩვენ ძველ დროის სქელ კედლებს.

\* \*

„Нов. Обоз.“-ის ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ ბეკუდის საქმეთა უმაღლეს გამგეობას ნება დაურთავს, რომ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებამ გამოცეს თფილისში „ახალხო ჰიგიენის ფურცელი“ რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. გაზეთი გამოვა თვეში ორჯერ.

\* \*

თბილისის ქალაქის გამგეობას გადუწყვეტია ხელმოწიფე-იმპერატორის უმაღლესი ბრძანებით მიხეილოვის ხიდს დაერქვას დღეის იქით „ნიკოლოზის“ ხიდი.

\* \*

გასული კვირის განმავლობაში საფილოქსერო კომიტეტს ქ. თფილისში რამდენიმე სხვაგვარაჲ ჰქონდა. ამ სხდომების უმთავრეს საგანს შეადგენდა იმ კითხვის გამოკვლევა, თუ რა ზომები უნდა იქმნან მიღებული ფილოქსერის გავრცელების შესაჩერებლათ, რადგანაც ამ ქაშათ თითქმის მთელ გორის მაზრაში მოღებული უნდა იყოს ეს ევენაის გამანადგურებელი ქირი. ზოგიერთების აზრით, სურამის განყოფილება დღეს იმდენათაა დაჭირიანებული, რომ იქ რადიკალური ზომების მიღება ყოველად უსარგებლო იქნება; ამნაირი ზომები მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ ცხინვალის განყოფილებაში და ამასთანავე სურამის

ქედი აღარ უნდა ითვლებოდეს დემარკაციონულ ადგილათ, არამედ საკურამოს ქედი. ბევრ კაშობას შემდეგ დაადგენ ამ აზრს. ამავე სხდომებზე გადაწყვეტის აკრთევე ამერიკული ვაზების მეორე საჩქოლეს გაშენება ქუთაისის გუბერნიაში საღკურ საჯავახოს მახლობლათ, სოფ. კარეისუბაში. ახალ საჩქოლეს ჯერ-ჯერობით ექნება მხოლოდ 10 დესეტინა მიწა.

\* \*

ამ რამდენიმე ხნის წინეთ ჩვენ გამოცხადებულ იქონდა, რომ კავკასიის სამკურნალო საზოგადოება მართავს რძის და რძის ნაწარმოებთა გამოფენას 6-13 ოქტომბერს ამ გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კავკასიის ყველა მცხოვრებთ. გამოსაფენი ექსპონატებისთვის არაფერი გადასახადი არ არის დანიშნული. ის პირები, ვისაც სურს გამოფენაში მონაწილეობის მიღება, გზავნიან თავის განცხადებებს საზოგადოების ბიუროში თავიანთი სწორი აღრესით და ყოველგვარ ცნობებს თავიანთ მეურნეობის შესახებ. ვისაც სურს დაწერილებით გაგება გამოფენის პირობებისა, შეუძლია მიმართოს გამოფენის კომისიას (Тифлисъ. Выставочная комиссия Имп. Кавказ. Общ. Сельск. Хозяйства) და მიიღებს გამოფენის პროგრამას.

\* \*

ოღრესის სტუდენტებს გამოუტკიათ განსვენებული პოეტის, თ. ვანტანგ ოზბელიანის ლიტოგრაფული სურათი, რომელსაც ჰყიდის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება კარგ ქალაღზე დაბეჭდილს 1 მ. და უბრალო ქალაღზე 50 კ.

\* \*

ჩვენ მიიღეთ ი. ევღაშვილის ლექსები სუფთათ და ლამაზათ გამოცემული ი. იმეღაშვილისაგან და ს. ტელიძესაგან. ამ წიგნის მნახველნი აღარ ჩავარდებიან სასოწარკვეთილებაში და არ იტყვიან, რომ ჩვენ პოეტებს პატივს არ სცემენ. მართალია, ჩვენი გამოჩენილი მოღსნის აკაკი წერეთლის ლექსები თითქმის ორმოცო წელიწადი ელოღა გამოცემას, მაგრამ ეტყობა ახლა სულ სხვა დრო ჯავიღდა: რამ წამს დაწერენ ჩვენი პოეტები ლექსებს, მაშინვე გამოიცემელიც გამოჩნდება.

\* \*

ერთ ქუთათელ ახღღაზღა კმაწიელ კაცს, ივ. ზურაბიშვილს, შეუღღენია და გამოუტკია ფრიაღ სა-



სარგებლო წიგნაკი: „ელჟარდ ჯენერი და ყველის აცრა“. ამ გვარი წიგნაკები ჩვენი ხალხისათვის სწორეთ წყლულის მალამოს შეადგენს. მართალია, წინასიტყვაობაში ავტორი ცოტა არ იყოს ცდება, როდესაც ამბობს: „არა თუ არ გამოცემულა ჩვენში რაიმე წიგნი საზღვარ-გარეთელ რომელიმე გამოჩენილ პირის მოღვაწეობის და ცხოვრების შესახებ, არამედ ზეერი—თითქმის ყველანი—ჩვენ მოღვაწეთაგანიც მოკლებულია ამ გვარ ყურადღებას“. ავტორი რომ კარგათ დაკვირებოდა ჩვენ მწერლობას, შემო ნათქვამ წიგნაკებს არა ერთს ნახადა, მაგრამ ჩვენ მაინც და მაინც ისეთი ღარიბები ვართ ყოველგვარი, მეტადრე სახალხო წიგნაკებით, რომ სიხარულით უნდა ევგებებოდეთ ყოველ ახალ წიგნს, მეტადრე როდესაც წიგნის გავრცელებას კიდევ სხვა კეთილ საქმეს გვიქადის. ამ წიგნაკის წმინდა შემოსავლის ერთი ნაწილი არის დანიშნული ეპ. გაბრიელის ფონდის სასარგებლოთ და მეორე — ქუთაისის მომავალი სახალხო სამკითხველოსთვის. სანატრელია კიდევ ის, რომ ამ სამკითხველოს არ ეძახდნენ დღეის იქით „მომავალს“ და მალე განახორციელონ ეს საქმე. ჩვენ, როგორც დავკვირვებივართ, ქუთაისში ხალხისთვის აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია სამკითხველო, რადგან ქალაქის გამგეობის სამკითხველოში ქართული წიგნები თითქმის სულ არა აქვთ; უიმისოთაც ჩვენი გამოცემები ცოტა გვაქვს და ისიც იქ თითო ეკუმპლიარია და ზოგჯერ მთელი დღეობით უნდა ელოდეს კაცი თუ წაკითხვა სურს.

\* \*

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას უმაღლესი მთავრობიდან მიუღია ქალაქი იმის შესახებ, რომ მუშაობის გამგე ქიათურის რკინის გზის შესაკეთებლათ ბ. ტურემჩენკო და მისი თანამგმწე გოდზევიჩი სამართალში მიცემულ იქმენ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებისათვის.

\* \*

ჩვენ გვატყობინებენ აბასთუმნიდან: სამშაბათს, 9 ენკენისთვის, აბასთუმნის ახლო ყაჩაღები თავს დაესხნენ ბაღდადის მცხოვრებს ივლიანე ფურცელაძეს, რომელიც მიღოდა თავის მსახურითურთ სავაჭროთ არდაგანში. ყაჩაღებმა მსახური მოუკლეს, თითონ ფურცელაძემ კი თავს უშველა.

„აკვალის“ კორესპონდენციები.



ადგ. სუფსა (ოზურგეთის მაზრა). ჩვენი საღვურის მახლობლათ, თავად გურაულების მამულში, გაცხარებული თხრა და ძიება ნაეთისა. ძველათვე შავი ზღვის განაპირა მიდამოში, თ-დ გურიელებს და ნაკაშიძეების მამულებში, არსებობს ორასამდე გურიაში აგრეთ წოდებული „საკუპზე“, ანუ ნეთის წყაროები. ხევე-ხევეში შეხედებით ხოლმე აქა-იქ ამ საკუპრეებს და მაშინათვე იცნობთ, რომ მიწიდან ნელ-ნელა ამოდის ნეთ-ნაკრევი წყალი, გუბდება, შავ, მძიმე კუპრ-ნეთს ზევით მოიყენებს და შიგ, დრო გამოშვებით, პატარა-პატარათ ამოფეთქს ნეთის გაზი. ადგილობრივი მცხოვრებლები აგროვებენ და საშინაო საჭიროებისთვის ხმარობენ ამ წყაროებიდან კუპრს, ზოგი კიდევაც ჰყიდის.

ამ რამდენიმე წლის წინათ ერთმა უცხოელმა კომპანიამ მოჰკიდა ხელი გურიაში ნეთის ამოჩენის საქმეს. მაგრამ ხაზინისა და ადგილობრივ მებატონეთა შორის გაუთავებელმა დავამ დააშინა ეს კომპანია; უკანასკნელმა იჯარით გამოართვა ხაზინას მისი საკუთარი ადგილი, სად. ნატანების მახლობლათ სახელდობრ „იაკობი“, გამართა ზედ მიწის სათხარი ბურღის მოწყობილება, ორთქლის მანქანებით, და გულ-მოღვინეთ შეუღდა ნეთის თხრას. გაიარა რამდენიმე ხანმა და კომპანიას სხვა-და-სხვა ნაირი დაბრკოლება შეხვედა მთავრობისაგან. მუშაობა შეჩერდა, კომპანია დაიშალა და მთელი სათხარი მოწყობილება გაიყიდა გრაშის ფასათ. საქმე მიყუჩდა, და მხოლოთ ამ ბოლო დროს ეს საქმე დაიწყეს სხვა ადგილას, თ-დ. გურიელების მამულში, სად. სუფსის მახლობლათ. შედგა ახალი კომპანია, იჯარით გამოართვა თ-დ გურიელებს მამული და ამ ბოლო დროს გაჩაღდა საქმე. რამდენიმე თვეა, რაც იქ მცოდნე სპეციალისტები მიწის ბურღს ამუშავებენ და უკვე წაატყდნენ ძლიერ საიმედო ნიშნებს: ღონიერათ ამოფეთქა ნეთის გაზმა და ამოიტანა ზევით ქვიშა და წყალი. მთელ გურიაში გაისმა ეს საშხარულო ამბავი და ჩვეულებისამებრ მომღერალი ხალხი სიმღერით დაუხვედა მას:

ლუკმა პური ამოგვიჩნდა ამ ჩვენ სუფსაშიო;  
 ბათუმში სულ აღარ წავალთ, იავ-ნანიანო!  
 ნეთი არის, გაემიდრდებით — აბა ნანიანო!  
 ღმერთმა იგი აღდგარძელოს, ვისით აღმოჩნდაო,  
 ჩვენ რამე შეგვეძინება, დელა ნანიანო!

ამ ბოლო დროს გავიგეთ, რომ მათი აღმატებულიებანი, პრინციები ოლდენბურგისა, უფროსი და





უმცროსი ძმ., პირობით შევკვირვან თ-დ ნაკაშიძეებს და გაისათ მათ ადგილებში შეუდგებიან ნათის თხრას. ი. ნ.

\* \*

ს. ქვემო-მაჩხანის. კარგათ მოეხსენება ქართულ საზოგადოებას, თუ რანაირათ შეეწუხა სული ქვემო-მაჩხანის დეპოტ ქიზიყის ეპარქებს. ერთი დეპოტს სახელი ჭრუანტელს ჰგერას ყველა ქიზიყის ეპარქარ-ჩარჩს, და არც გასაკვირალია, რადგანაც ამ დეპოტს წყალობით მთელი დღე მუხლ მოკეცილნი სხედან უეპარქობის გამო. ამან გამოიწვია ბრძოლა საზოგადოებასა და ეპარქებს შორის. შეგროვდა რამდენიმე ეპარქი და გახსნეს ქვემო-მაჩხანშივე „ახალი დეპოტ“, ჩააქენეს სათვალეობიანი ნოქიები და დაიწყეს ეპარქობა, მაგრამ ხალხი დაწუმუნდა, რომ „ახალი დეპოტლები“ ატყუებდნ მას; მალე უპოვეს ყალბი საწონი გირები, რომლებიც წარადგინეს, სადაც ჯერ იყო. შენი მტერი შეწუხდა ისე, მკითხველო, როგორც „ახალი დეპოტლები“ შეწუხდნენ, მაგრამ არ ვიცი რა მიზეზით ამ საქმემ ჩაილულის წყალი დალია. ამ ამბით გათამამებულებმა ახალმა დეპოტლებმა გააგძელეს ძველ გზაზე სიარული; მაგრამ მეორეთ კიდევ უმუხთლა ბედმა. ამ თვის ორს ზემო-მაჩხანის! სოფლის მწერალმა, თომა ტოკლიკიშვილმა, ხელ-ახლა ამოაჩინა „ახალი დეპოტში“ ყალბი საწყაო. მან მაშინვე აცნობა ბოქაულს, თ. ერისთავს, რომელმაც ჯეროვანი ყურადღება მიექცია ამ საქმეს. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოქაული არ აპატიებს მათ ამნაირ საქციელს და შესაფერ ზომებს მიიღებს.

როგორც ყველგან, აქაც შეხედებით თითო-ორთა ბოროტ პირებს, რომლებიც აერცვლებენ ქორებს საზოგადოების დეპოტს შესახებ, მაგრამ ხალხი ყურს არ უდგებს მათ, რადგან იცის, რომ მათი ლაპარაკი უსაფუძვლოა და აშენებული პიროვნულ ანგარიშზე. ჩვენ მაინც ეურჩევთ იმათ თავი დაანებონ ქორიკანობას და მითქმა-მოთქმას მით უფრო, რომ ამავებს მოკლე კული აბია.

მანი.

\* \*

ფოთი. ამ უკანასკნელ დრომდის აქაურ ეპარქებს და აღებ-მიმცემთ კვირა-უქმე დღე არ მაჩნდათ, რადგანაც მათი ნოქრები და მოსამსახურენი ამ დღეებშია ცხად ასრულებდნ სააღებ-მიცემო სამახსურს, როგორც უბრალო დღეს. ამის შესახებ რამდენიმე

ჯერ ჰქონდათ შეტანილი თხოვნა ადგილობრივ ქალაქის საბჭოში აქაურ ნოქრებს, მაგრამ მათ თხოვნას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. სამაგიეროთ დღეს კი ჩვენ ნოქრებს, როგორც იყო, ბედმა გაუღიმა და მათ თხოვნას ყურადღება მიექცა მით, რომ კვირა-უქმე დღეს თავისუფლება მიენიჭათ. მაგრამ ახლა იბადება მეორე საკითხი: როგორ უნდა მოიმარონ ეს თავისუფალი დრო. ფოთში არ არსებობს არც სამკითხველო და არც სხვა იმისთანა რაზე საზოგადო დაწესებულება, რამელმაც უნდა შეაერთას ერთათ ეს ხალხი.

ამ ჭამათ ჩვენ ახალგაზღვებს შორის მრავალია იმისთანები, რომლებსაც სურთ განათლება მიიღონ და თვით—განვითარებას ელტვიან, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, ვერ პოულობენ იმისთანა წყაროს, სადაც შესაძლებელია ცოდნის შეძენა. ამი უკამ ძლიერ სასიამოვნოა, რომ ადგილობრივმა ქალაქის საბჭომ აღძრა კითხვა უფასო სამკითხველოს და წიგნთ-საცავის გახსნის შესახებ. ამისათვის ამ ჭამათ შემდგარია ცალკე კომისია, რომელმაც უნდა შემუშაოს ეს კითხვა. იმედია ჩვენი ქალაქი ჩქარა დააგვირგვინებს ამ კეთილ საქმეს.

ი. ინკუელი.

\* \*

სოფელი ცისე და დაბა ხიდისთავი: ნეტა როდის დადგება ის ბედნიერი დრო, რომ საზოგადო საქმეში კერძობა და შენ-ჩემობა არ ჩამოერიოს! საქმე აი, რაშია: ამ ერთი წლის წინეთ გამოვიდა ახალი წესდება სამრევლო სკოლების შესახებ; აქ სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ იქ, სადაც სკოლები უკვე არსებობენ, ახალ სკოლების გახსნა არ შეიძლება, არამედ ეს უკანასკნელნი გახსნილ იქმნას მივარდნილ სოფლებში. მაგრამ ჩვენში, სამწუხაროთ, სულ სხვანაირათ გაიგეს ეს აზრი. აი, მაგალითიც. დაბა ხიდისთავში არსებობს სამრევლო და სამინისტრო სკოლა, სამკითხველო და სხვა... სოფ. ცისე და აგრეთვე მის მახლობლათ მდებარე სოფლები სრულებით მოკლებულნი არიან ყოველსავე ამას, მაგრამ ამის და მიუხედავათ ხიდისთაველები ყოველ დონის-ძიებას ხმარობენ, რომ ახალი სკოლაც დაბა ხიდისთავში გაიხსნას. პირველათ სასულიერო საბჭოს განყოფილებამ ოზურგეთში დაადგინა, რომ სოფ ცისეს უნდა გახსნილიყო ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა; მაგრამ ეპარქიალურ საბჭომ ეს განაჩენი უარყო და დაბა ხიდისთავი აირჩია სკოლის ადგილათ, და ეს საქმე გაკზანეს, სადაც ჯერ არ-დასამტკიცებლათ. ამიტომ სოფ. ცისის მცხოვრებლებმაც გაგზანეს



თხოვნა, რომელშიაც ამბობდენ, რომ რადგანაც და-  
ბა ხილისთავენი რამდენიმე სკოლაა და ჩვენში კი არც  
ერთი, ამიტომ გეყავით მოწყალება და, როგორც  
ნაბრძანებია, სკოლა ჩვენ მოგვეცითო. ამ თხოვნამ  
გაქრა: საქმე უკან დაბრუნეს უფრო სიმაართლის  
გამოსარკვევით. ამისათვის დანიშნა კომისია, რომ  
მელმაც საქმის ჯგროვან გამოკვლევას შემდეგ, სოფ.  
ციხე აირჩია ახალი სამრევლო სკოლისათვის. მომა-  
ვალი სკოლისათვის დანიშნული ადგილი, სიერციით  
თორმეტი ქცევა, ცხელგბმა იყიდეს 2500 მან. და  
შეწირეს სკოლას. ხილისთაველებმაც ჯერ შეიღი ქცე-  
ვა მიწა და 1000 მანეთი შეწირულება აღუთქვეს; ბო-  
ლოს ამათაც თორმეტ ქცევამდის შეასრულეს. ახლა  
კიდევ ციხელებიც ათას მან.თს წირენ და ამგვართ  
ექიშვებიან ერთმანეთს. დღეს ამნაირათა ამ საქმის  
ეთართება: ბ. სოგინი (ოზურგეთის სასულ. სასწ. ზედა-  
მხედველი), რომელიც კომისიას თავმჯდომარეობდა,  
ამ საქმეს მოშორდა და მის მაგიერ ბლალ. თოხაძე  
დანიშნეს და ეპარქიალურ რჩევაში ისევ ხილისთავე  
წარადგინეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სა-  
ეპარქიო მეთვალყურე, ბ. ჟორდანი, თითონ განი-  
ხილავს ამ საქმეს ადგილობრივ და უფრო პირუთ-  
ნელათ მოიქცევა.

რ. ს.

ჩ ე მ ს მ უ ზ ა ს .

(გუქდენი გ - ლს)



მე, ჩემო მუზავ, რაც შენ მომნახე  
და დამეკიდრე ჩემშია ბინა,  
დამეწმო გრძობა სიხარულისა  
ნაცვლათ ნაღველმა დაგვირგვინა...

მაინც არ გყვედრი, რომ შენის მადლით  
მეწვია მწარე ტანჯვა-ნაღველი;  
არა, გარწმუნებ, მომავალშია  
ამაზე უფრო მეტსაც მოველი!..

სამაგიეროთ მხოლოთ შენ გმადლობ,  
რომ ამიხილე მე ბრმასა თვალი,  
თვალი, რომლითაც მსწრაფლ გეუარჩიე  
ჩემი დევიზი და ჩემი ვალი.

ღიას, შენ გმადლობ, რომ ჩამინერგე  
სხვისთვის ფიქრი და სხვისთვის წუხილი

და ამიტომაც მას აქეთია,  
მას ელტვის ჩემი გულის დუღილი..

თუმცა პირველში ამ გვარი ყოფნა  
მაგრძობინებდა ბევრ შეწუხებას,  
მაგრამ შენ მომეც გრძობა, რომლითაც  
ტანჯვაშიც ვპოვებ სიამოვნებას...

მაშ, ჩემო მუზავ, გასწი ისევ წინ;  
ნუთა გვარი გზა ნუ შევაშინებს,  
დღე, შემხედვს ბევრი ტანჯვა-ნაღველი  
ამ გრძობას ვერვინ გამაშევიბინებს!..

ხალხია მხოლოთ ჩემი იმედო,  
ხალხშია ვპოვებ სიამოვნებას:  
ვინც მხოლოთ თვისთვის ფაქრობს და იღვწის,  
ვერას დროს იგრძობს ბედნიერებას...

ბ. ლავითაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ.



მ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ  
ქურნალში დაუთმოთ ადგილი ამ ჩემ  
მცირე შენიშვნას. ამ რამდენიმე თვის წინეთ  
დღი სიამოვნებით წაეიკითხე გაზ. „ივერიაში“ წე-  
რილი ერთი კახელი ქალისა, საიდანაც ვეცანი, რომ  
ქალაქ თელავში დაარსებულა ქართველ ქალთა  
საზოგადოება, რომელსაც მიზნათ აქვს ყოველ მხრე-  
ვი გაუმჯობესობა ქართველთა ოჯახობისა და სხვა-  
თა შორის ნაციონალური ტანთსაცმელის შემოღე-  
ბა. ეთქვი: მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ახალგაზ-  
და თაობას ახლა მაინც შეუფნია მნიშვნელობა თა-  
ვის ეროვნული ღირსებისა და კერძოთ ტანსაცმე-  
ლისა; ეფუქრობდი, რომელ საზოგადოებაშიაც კი  
შეეალთ მომეტებულ ნაწილს ქართველ ქალებისას  
დავინახეთ ლეჩაქ ყურ-გადაცდებულს და სარტყლის  
ფრიალით. მაგრამ, სამწუხაროთ ვერც ერთი ქალი  
ვერა ენახე ლეჩაქ-ანი იმ ახალ ქალთა საზოგადოე-  
ბისა. დარწმუნებული ვარ, ბევრი ამასაც გაიმეორებს:  
განა ლეჩაქი რომ გვეხუროს, ქართველობა დაგვეტ-  
ყოზა და ევროპიულათ ჩაცმულებს კი არა? მეც  
არ ვარ იმ აზრისა, რომ კაცს მარტო ტანთ-  
საცმელი ცვლიდეს; მხოლოთ ის არის სამწუხარო,  
რომ საქართველოში ჩვენ ძველ დედათა მანდილს





მ ც ნ ე მ ს გ ა ტ ე ს ა.



პატივი აეყარა ჩვენი ახლანდელის განათლები წყალობით.

თუმცა არა ერთხელ თქმულა ჩვენ ჟურნალ-გაზეთობაში რამდენათ შეურაცხავილია ჩვენი ჩაცმადანსურება, მაგრამ მეტი არ იქნება ორიოდ მაგალითი კიდევ მოვიყვანო: თუ რა უპატრეცემულოთ ექცევიან ლეჩაქიან ქალებს ყველაგან: ამას წინეთ ერთ დღესასწაულ დღეს 14 იანვარს წავედი სიონის ტაძარში წირვის მოსასმენლათ; ჯერ კარებშივე „გოროდოვოი“ შემაყენა: არ შეიძლება შესვლაო, მაგრამ „გოროდოვოი“, როგორც იყო, მოვიცილე თავიდან და შეველ ვკლესიაში. ახლა უნდა გენახათ რა დღეში ჩამადგეს მუჯღუგუნით. იქვე იღვა ერთი მოხელე, მიემართე, მაგრამ ზედ არ შემომხედა, გარწმუნებთ, იმიტომ მხოლოთ, რომ ლეჩაქიანი ვიყავი. გამოსვლის დროს კარებში ერთი ჩემი ნაცნობი შემხედა და იმას შევეკითხე: რა არის ემაწილო ასეთი უზრდელი ქცევა თავდახურულ ქალების მიმართ? იმან მიპასუხა:—ასე ამბობენო, რომ ვინ იცის, ვინ არიანო. „Одна Кекелка похоча на другую“. მეც უპასუხე: მაგრამ თუ ასე სჯით, მატრონებიც ხომ გვიანან ერთმანეთს? აქ იმავე დროს, როცა ერეკებოდენ თავდახურულ ქალებს, შლიაპონებს, განურჩევლათ, ვინც უნდა ყოფილიყვენ პატივით ეკიდებოდენ და ადგილს აძლევდენ.

თბილისშივე კონკაში კონდუქტორი მომიახლოვდა და სასაცილო ღრეჭით და თითების ჩვენებით მანიშნებდა, რამდენი ბილეთი გინდაო, „დედო“, მაშინ როდესაც იგივე კონდუქტორი ევროპულათ ჩაცმულ ქალებს ეუბნებოდა: „ИЗВЯТЬСЯ БИЛЕТЪ“, მაგალითებს რომ გაეყვით კიდევ მრავალს მოგახსენებდათ, მაგრამ ესეც კმარა.

რისაგან არის ასე დამცირებული ქართული ტანთ-ჩაცმა? ჩემის აზრით იმისაგან, რომ ჩვენი ქალები მიიღებენ განათლებას და ჰკონიათ რომ თავის დახურვა განათლებულ ქალს არ შეჭყერისო. მათი მშობლებიც ეთანხმებიან და ამბობენ: რა პატივი ექნება თავდახურულ ქალს საზოგადოებაშიო, ქართულ ღალათ ჩაცმული ქალი ყველას უსწავლელი ჰკონიათ და ჩემს თამაჩიკას რეა კლასი გაუთავებიაო. ხედავთ, მკითხველნო, ლეჩაქს და სატყველს რა თვისება ჰქონია: სწავლა-განათლებას თურმე ვერ მიიკარებს!

ყველა ეს კარგი, ისე ნუ გავიხდით საქმეს, რომ ჩვენი შეილი-შვილები სურათებს ეძებდენ სანახავათ, თუ როგორც კმიათ უწინდელ ქართველ დედებს. იმედია, თელავის ქართველ ქალთა საზოგა-

დობეა ასრულებს თავის დიდ მნიშვნელოვან საქმეს და არ გვათქმევინებენ: „სიტყვა უსაქმოთ მკედარ არს“.

დავშთები კახელ ქალთა საზოგადოების პატივის მტემელი კნ. მარია სიღამონკრისთავის.

მცნების გატეხა.

**მ**ს ნახატი არის გადაღებული იმ დიდი სურათიდან, რომელმაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა გამოფენის დროს ყველა მნახველზე საერთო ყურადღება მიექცა მის დამხატველს, დანჯერს.

„შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“—ამბობდა იესო ქრისტე. მხატვრის ფანტაზიამ წარმოგიდგინა ამ საშინელ სურათზე იესო ქრისტე, რომელიც სასოწარკვეთილებით დაცქერის მის წინ დაგდებულ მკედრებს; ეს მკედრები არიან ყველა ისინი, ვინც უარყო ქრისტეს წმიდმცნება და ჩაეიდა საფლავში სიყვარულის მაგიერათ სიძულვილით გულში.

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი.

**ს**ხვა მრავალ ცოდვასთან ერთათ, ჩვენ ჟურნალ-გაზეთობას თანდაყოლილი აქვს ერთი დიდი ცოდვაც,—ეს შინაური მიმოხილვის ყოვლად უფარვისობა. ეს უფარვისობა უმთავრეს შემთხვევაში იქამდის მიდის, რომ ჩვენ საზოგადოებას არავითარი წარმოდგენა არ აქვს ჩვენ შინაგან საქმეებზე. რომ ეს გარემოება ფრიად სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩათვალოს, ამის შესახებ ლაპარაკი მეტია. საქმე ის არის, რომ ჩვენ პუბლიცისტებს და მწერლებს როგორღაც არ ეხერხებათ ჩვენი შინაური საქმეების შესახებ სჯა-ბაასი. რომ ამ გარემოების უმთავრესი მიზეზი ჩვენი მწერლების მოუშაღებლობაა, ვგონებთ ამაზეც მეტია აქ ლაპარაკი; დროითი-დრო ჩვენ ამ საგანზე გვექნება საუბარი მკითხველთან, როცა ამას გამოიწვევს საქმის გარემოება. მეორე მხრით, ამავე გარემოებას, უეჭველია, აქვს კიდევ უფრო ღრმა მიზეზები; ჩვენ ვეცდებით დავასახელოთ ზოგიერთი იმათგანი ცოტა ქვემოთ, ჯერ-ჯერობით მოველაპარაკებით მკითხველს,



რაც შეიძლება მოკლეთ, ჩვენ მიერ განზრახული „მიმოხილვის“ მიზანზე საჭიროთ ეთელით შევნიშნოთ, რომ ჩვენი „მიმოხილვის“ მიზანი მეტათ მართივია. როცა ჩვენ ამ გვარი წერალებს სტამბა განვიზრახეთ ვახ. „კვალში“, ჩვენ, ერთი მხრით, ყველაზე უწინარეს ჩვენი სუსტი ძალა გექონდა სახეში, ე. ი. კარგათ ვგრძნობდით, რომ ჩვენ საზოგადო საქმეების შესახებ დალაგებით და თავისუფლათ სჯა და ბასი ჩვენთვის ძნელი იქნება, თუ სრულიად შეუძლებელი არა, და მეორე მხრით, ჩვენ ვიცოდით, რომ ამ ჩვენ მიერ არჩეულ გზაზე ათას გვარი დამაბრკოლებელი, ჩვენგან დაუყოციდებელი, გარემოებანი შეგხედებოდა. ამის აღნიშვნა საჭიროა აქ იმიტომ, რომ მკითხველმა არ მოგეთხოვს ის, რის მიწოდება ჩვენ სრულებით არ შეეძლოდა. ჩვენი უმთავრესი მიზანი იქნება მხოლოდ ზოგიერთ უფრო თვალ-საჩინო და ღირს—მნიშვნელოვან შემთხვევათა და მოვლენათა უბრალო აღნუსხვა, ჩვენი შეხედულებით, რასაკვირველია, რათა საზოგადოებაშიც მეტა ყურადღება მაიქციოს იმათ, შეიგნოს მათი დადებითი და უარყოფითი მხარე, ერთი სიტყვით, შეძლების-და გვართ დაათასოს ღ აწონ დაწონოს ისინი. რასაკვირველია, ბევრა იტყვის, რომ მართლაც არა კმარა: საზოგადოებამ რომ შეიგნოს ასეთი თუ ისეთი მნიშვნელობა რომელიმე საზოგადოებრივი მოვლენისა, საჭიროა ამ უკანასკნელის საუფქვლანათ შესწავლა და სისწორით განმარტება. რათქმა უნდა, როცა ეს შესაძლებელი იქნება და ჩვენი საკუთარი ძალაც ნებას მოკვცევს, უამისოთ არ გაუფშვებთ ჩვენ არც ერთ ღირს—შესანიშნავ მოვლენას, რომელსაც რაიმე კავშირი ექნება ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. მაგრამ როცა ეს სხვადა-სხვა მიზეზის გამო შეუძლებელი იქნება, მაშინ ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ ფაქტების უბრალო აღნუსხვით. ჩვენი ცხოვრება საზოგადოთ ისეა მოწყობილი, მასში წერილობანებს იმდენი ალაგი უჭირავთ, რომ თითქმის დროც არც კი გვრჩება, რომ რაიმე საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენას ყურადღება მივაპყრათ და რამდენიმეთ მასზე შეეჩერდეთ; ერთი სიტყვით, დღევანდელი ადამიანის მთელი ცხოვრება ვიწრო ეგოისტური წრით ისაზღვრება, პიროვნულ ანგარიშს ის სრულიად ჩაუთქავს. თანამედროვე წარმოების მატერიალურმა პირობებმა განაერთარეს ჩვენში ინდივიდუალისტური ლტოლვლებანი, მოქმედება კერძო ინტერესების სასარგებლოთ. რამდენათ ეს ინდივიდუალისტური პრინციპი განმტკიცდა და სათაყვანებელი გახდა პრაქტიკული ცხოვრების ყოველივე ნაბიჯზე, იმდენათ მოიპოვა მან მკვიდრი საუფქველი ახალი დროის ფილოსოფიაში;

ეს უკანასკნელი პირდაპირი გაღმერთებაა ინდივიდუალისტებისა. თუ რამდენათ გამჯდარი აქვს ძეაღისა და რბ-ლში თანამედროვე ადამიანს ინდივიდუალისტური მიდრეკილებანი, ამის დასამტყიცებლათ შორს წასვლა არ არის საჭირო. თითოეული ჩვენგანი ამის მაგალითს ხედავს ყოველგან: ოჯახში თუ სხვა რომელიმე საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულებაში; ყოველგან საწყაოთ ცალკე პიროვნება მიღებული, მისი კერძო სარგებლობა და სხვ. ჩვენ არაუფრს ვამბობთ აქ იმ განზრახვით თვალების დაბრმავებაზე, რასაც ჩადის თანამედროვე საზოგადოების უმრავლესობა, როგორც კერძო, ისე საერთო გაჭირების დროს.

ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე საშუალო ტიპის ადამიანს, რაჟიღანაც შედევბა აწინდელი საზოგადოების კმრავლესობა, სრულებით არ აინტერესებს ყოველივე ის, რაც ვიწრო ეგოისტურ ფარგალს აღემატება და თითქმის არც კი აქვს მას დრო ამისთვის, იმდენათაა ის გართული არსებობისათვის ბრძოლაში. ამ მოვლენის მიზეზი უნდა ვეძოთ საზოგადოების გაკვებობაში, ე. ი. იმაში, რომ მას ვერ შეუფრია, თუ რას ნიშნავს საერთო ინტერესებისათვის სამსახური და მოქმედება ან შევნიშვნისათვის მიუცილებლათ საჭიროანი არიან განსაზღვრული მატერიალური პირობები, რომლებიც ჩვენში ჯერ საქმარისათ არ განვითარებულან. სადაც კი საქმარისათ განვითარდენ ეს უკანასკნელნი, მაგ, დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში, იქ ამ მხრით ვამჩნევთ შესანიშნავ წარმატებას. საქმარისი იქნება დავასახლოთ აქ, როგორც მაგალითი, დასავლეთ ევროპაში და შევერთებულ მუტატებში მუშაათა მოქარაბა, რომელშიაც მთელი კაცობრობის საკთარ ტრიალებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მატერიალური პირობები მეტი თუ ნაკლები სასწრაუით ჩვენშიაც ვითარდებიან და, მამასადაჟე, ჩვენშიაც მხადღება მკვიდრი ნიადაგი, რომელზედაც უნდა განვითარდეს საზოგადოებრივი თვით-ცნობიერება,—ის ძალა, რომელმაც უნდა მოახდინოს ძირითადი ცვლილებანი თანამედროვე საზოგადოებრივ წეს წყობილებაში. ამიტომ ყოველივე ის, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი თვით-ცნობიერების განვითარებას. უნდა ჩიით ვაღოს პროგრესულ მოვლენათ. ჩვენის აზრით, იმ შინაგან და შუემწიკველ მუშაობასთან, რომელიც ჩდება ამ ჟამათ ჩვენი საზოგადოების გულში და რომელიც არა ერთხელ აღნიშნულა ჩვენ წერლობაში ამ უკანასკნელ დროს, ყოველივე მოგონება და დასახლეება საზოგადო საქმეებისა, საზოგადო სამსახურისა, არ უნდა დარჩეს უმნიშვნელო ჩვენი საზოგადოებისათვის, იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ამას არავითარი



დაწერილებითი განმარტება წინ არ მიუძღვის. ეგონებთ, ამ მოკლე განმარტებიდან მკითხველი გაიგებდა ჩვენი „მიმოხილვის“ უმთავრეს მიზანს და ამასთანავე იმას, თუ რას უნდა მოელოდეს ის ამ „მიმოხილვიდან“. ახლა ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ „მიმოხილვის“ შესავალის მეორე საგანზე, ე. ი. იმ ათას გვარ დაბრკოლებაზე, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ.

მრავალი იმისთანა მოვლენა ანუ გარემოება, რომელიც, თუმცადა ყველასთვის ცხადია, მაგრამ რომლის შესახებ ლაპარაკი და მით უფრო სჯა ყოველად შეუძლებელია. რა თქმა უნდა, უმეტესი ნაწილი იმ დაბრკოლებათა, რომლებიც ყველასთვის მოსალოდნელია ჩვენ მიერ არჩეულ გზაზე, იმ მოვლენათა კატეგორიას ეკუთვნის, რომელთა შესახებ ძალა-უნებურათ სრული სიჩუმე უნდა იყოს დაცული. ცხადია, რომ ეს გარემოება ყველაზე უფრო ადამბრკოლებელ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი დანიშნულების შესასრულებლათ. ამიტომ ჩვენში მკითხველს მართა ის კი არ ეყოფა, რომ დაწერილი წიკითხოს და შეიგნოს, არამედ ბევრი იმისთანაც უნდა ამოიკითხოს, რაც არ დაწერილია, მაგრამ რაც საჭირო იყო რომ დაწერილიყო.

სულ სხვა გვარი დაბრკოლება გვხვდება ჩვენ ამ ასპარეზზე მეორე მხრით. ჩვენ ვამბობთ დღევანდელი ჩვენი ვითარების გამორკვევის სიძნელეზე; ამ სიძნელეს ჩვენ წარმოვიდგენთ მაშინ, თუ მხედველობაში მივიღებთ, ამ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში მრავალ საუკუნოების ნამუშევარის გახრწანას და დაქცევას და ამის ადგილას ახალი წეს-წყობილების მომწიფებას. ამნაირათ აქ პირის-პირ გვებან ერთი მეორის წინააღმდეგ ორი სულ სხვა-და-სხვა ეპოქა თავისი განსაკუთრებით წესებით, რათა სამუდამოთ განშორდნენ ერთმანეთს, ერთი მით, რომ სამუდამოთ ეთხოვება სიციხლეს და მეორე მით, რომ თავისუფლათ მკვიდრდება.

ამ გარემოებას აუცილებლათ უნდა მოჰყოლოდა გამოუთქმელი არე-დარევა ძველისა და ახლის, რომელშიაც გამორკვევა და ანგარიშის მიცემა მეტათ გაძნელებულია: ერთი მხრით გარეგანი, ჩვენგან დამოუკიდებელი, პირობები გვაძულებენ სრულიად გარდაქმნას, მაგრამ მეორე მხრით, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენათ შეუძლებელია უმრავლეს შემთხვევაში ეს პროცესი. წარმოიდგინეთ ერთი ცალკე ადამიანი, ან და მთელი მოდგმა ადამიანთა, რომლებიც წარმოშობა მთელმა წარსულმა ისტორიულმა მოძრაობამ, ე. ი. რომლებიც შექმნეს წინანდელმა მატერიალურმა პირობებმა; მთელი მათი სულიერი აგებულება, მათი გონებრივი და ზნეობრი-

ვი მხარე პირდაპირი შედეგია განსაზღვრული მატერიალური პირობებისა. მაგრამ ამ პირობების შეცვლისთანავე უნდა შეიცვალოს აგრეთვე მთელი სულიერი მხარე ადამიანისა, რომელიც უნდა შეესაბამოს და მოეწყოს ახალ გარეგან პირობების თანახმათ. ავალთ მაგალითი. ძველი მებატონეს და მისი უმის სულიერი აგებულება, მათი შეხედულებანი და წარმოდგენანი, ერთი სიტყვით, მათი გონების მუშაობა ყველაფერში ესაბამებოდა ბატონ-ყმურ წეს-წყობილებას და ბატონ-ყმურ წარმოების წესს. სულ სხვა თანამედროვე კაპიტალისტების და დაქირაებულის, „თავისუფალი“ მუშის გონების მუშაობა; ეს უკანასკნელი შეთანხმებულია ახლანდელი წესის წარმოებასთან, რომელსაც კაპიტალისტური ჰქვია. ცხადია, რომ ამ ორ ერთი-მეორეს მოწინააღმდეგე წეს-წყობილებათა წარმომადგენელნი ერთმანეთს ვერ შეეთანხმებან. მაშინ იმათ შორის იწყება ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი, სამტრო-სასიცოცხლო. როგორც ყოველგვარ ბრძოლაში, ისე აქაც ერთის დამარცხება და მეორეს გამარჯვება აუცილებელია. მაგრამ საქმე ის არის, თუ რომელი ამათგანი უნდა დამარცხდეს და თუ რისგან არის დამოკიდებული გამარჯვება. დამოკიდებულია ეს უკანასკნელი ადამიანის შინაგან თვისებებთან, თუ მხოლოდ გარეგანი პირობებისგან? საქმეც ის არის, რომ ადამიანის შინაგანი თვისებანი აქ ვერაფერს გახდებიან; ყოველივე დამოკიდებულია აქ იქიდან, თუ რა მიმართულებას მიიღებენ მატერიალური წარმოების გარეგანი პირობები. სწორეთ, აი, ამაში მდგომარეობს მთელი ტრაგიზმი ისტორიისა: ადამიანის სულიერი შინაარსი პირდაპირ ეწინააღმდეგება და უარს ჰყოფს გარეგან პირობებს; ეს უკანასკნელნი კი შეუბრალებლათ შლიან ადამიანში ძველ შინაარსს და, გინდა არ გინდა, წერენ შიგ ახალს. მაგრამ რამდენ ტანჯვათ და წვალებათ ღირს ეს! დიდხანს ებრძვის ადამიანის „შინაგანი“ ბუნება ამ გარეგან პირობებს, მაგრამ დამარცხებული მაინც თითონვე რჩება.

ყოველ შემთხვევაში ამისთანა დროს ჩვენ ეხედეთ ორ ცოტათ თუ ბევრათ გამორკვეულ მიმართულებას: ერთი იცავს ძველს, მომაკდავს წეს-წყობილებას თავისი „წმიდა“ ზნით და ჩვეულებებით, მეორე კი — ახალს, ანუ როგორც მას ძველი წესის წარმომადგენელნი უწოდებენ „გარყვნილ წეს-წყობილებას“; პირველი ხმარობს მამა-პაპურ, „კეთილ-სინიდასიერ“ იარაღს. მეორე კი — სრულიად ახალს, ყოველად „უსინიდასოს“. ბრძოლა მათ შორის მით უფრო მწვავედება, რაც უფრო და უფრო ახლოვდება წამი ერთის საბოლოოთ გაქარწყლებისა და მეორეს გამარჯვებისა. როგორც ზევით ვამბობდით, სწორეთ ჩვენ ვცნობ-



ერობთ ამ ნაირ შესანიშნავ დროს. ამიტომ ადგილი ასახსნელია, თუ რათ არსებობს ჩვენ საზოგადოებაში დღეს ორ გვარი მიმართულება ანუ შეხედულება ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაზე. უმრავლესობა ჩვენში იმ აზრის არის, რომ ყოველივე ახალი, ძველათ უცნობი, მხოლოდ ხელოვნებითაა ჩვენში შემოტანილი, და უსათუოდ უნდა გაქრეს, და თავის ადგილი დაუთმოს ისევ ყველაფერ ძველებურს. საგულისხმო აქ ის არის, რომ ვინც ყველაზე უფრო მეტს გაიძაბის ძველი, მკვდარი, წეს-წყობილების აღდგენაზე, თითქმის ისაა ყველაზე უფრო გამოცდილი ახალი პირობების გაფიქრით, და სწორეთ ამიტომ ახდენენ ისინი საზოგადოთ ყველაზე საზიზღარ შთაბეჭდილებას. მეორე მხრით, უფრო გონიერი ნაწილი ამავე ძველი მიმართულებისა, გრძნობს რა ახლის შეუბრალებელ ძალას, რომელიც მუსრს ადენს მის სათაყვანებელ წეს წყობილებას, მხოლოდ სასოწარკვეთილებით ხელების გაქნევით აცნადებს თავის პროტესტს. ეს უკანასკნელნი, რასაკვირველია, უფრო შესაბრალებსნი არიან! ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ მეორე მიმართულების, ე. ი. ახალი წეს-წყობილების შეგნებულ წარმომადგენლებზე. უმთავრესი საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, ძველმა გაიმარჯვოს თუ ახალმა, არამედ იმაში, თუ რა იზადება და ვითარდება საზოგადოების გულში; ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა ამის შეგნება, რათა ჩვენი მოლოდინი არ გაცრუდეს და შრომამ ტყუილა-უბრალოთ არ ჩაიაროს. ერთი სიტყვით უმთავრესა საკითხი, რომელიც ჩვენ ყველაზე უფრო უნდა გვაინტერესებდეს, იმაში მდგომარეობს, თუ რომელი მიმართულების წარმომადგენელი, ძველის თუ ახლის, არიან ქვეყნისთვის ახლო, იმ პირობების მიხედვით, რომლებშიაც იმყოფება დღეს ჩვენი საზოგადოება. თავის თავათ იგულისხმება, რომ ამ საგნის გამოკვლევა რამდენათ საჭირო და ღირს—მნიშვნელოვანია ჩვენთვის, იმდენათ ის საძნელაა. ყოველ გვარი მსჯელობა, დამყარებული მარტო მალალ ფრაზებზე და გრძნობებზე, თუ მას მკაცრა და საფუძვლიანი ფაქტური გამოკვლევა არ მოუძღვ-ს, ფუჭათ ჩაივლის. აი, ამიტომ მიგვაჩნია ჩვენი საშინაო საქმეებზე სჯა-ბაასი მეტათ საძნელო საქმეთ. დღ სიფრთხილესთან ერთათ აქ საჭიროა გრცელი და ფართო მომზადება. უამისოთ კი, „ლორის თავი“ და „გოზინაყი“ ჩვენ თვალში უფრო დიდ რამეთ ჩაითვლება, ვინემ ჩვენი განვითარების და აღორძინების არსებითი პირობები.

დასასრულ ჩვენ გესურს აქვე ცოტა უფრო დაწვრილებით შევეხოთ ჩვენ მომავალ „მიმოხილვათა“ საგნებს. რასაკვირველია, წინასწარ განსაზღვრით და-

სახელება იმისი, თუ რა და რა საგნებზე გვექნება ჩვენ ლაპარაკი, შეუძლებელია. მკითხველი ნათქვამდანაც დაინახავდა რამდენიმეთ, თუ რა გვარ მოვლენათა ექნება მიქცეული უმთავრესი ჩვენი ყურადღება. შევნიშნავთ მხოლოთ, რომ სხვა-და-სხვა შემთხვევანი და მოვლენანი საზოგადოებრივი ხასიათისა, ჩვენი ლიტერატურის უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი და აგრეთვე ადკლობრივი რუსული ჟურნალ-გაზეთობის შესახებ სჯა-ბაასი შეადგენენ ჩვენი „მიმოხილვის“ საგნებს. ამასთანავე საჭიროა იქნება ზოგიერთი მოვლენის აღნიშვნა და განმარტება უცხოეთ-ს ცხოვრებიდანაც, რამელთაც მეტი თუ ნაკლები მნიშვნელობა ექნება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ამაიჩათ ჩვენ ვხედავთ, თუ რა ფართო და გრცელია ჩვენ მიერ განზრახულ „მიმოხილვათა“ პროგრამა. ჩვენ ჩაეთვლით თავის მოვალეობას შესრულებულათ, თუ ცოტათი მაინც შეუქს მოვეფნთ ჩვენ დღევანდელ ვითარებას და ჩვენ მერ წარმოადგენილი პროგრამის სულ მცირედ ნაწილს შევასრულებთ.

ფ. შემოქმედელი.



\* \*



ამოიცვალა ქვეყანა...  
 ჯრო დადკა გასაქირია;  
 აღარვის კვლავინდებულათ  
 აღარ უცინის პირია!...  
 კაცი აღარ ჰგავს კაცურ კაცს,  
 ქალს აღარ ეთქმის ქალობა!..  
 დიდს და პატარას ერთობით  
 ყველას ეტყობა ყალობა.  
 ვინც გინდ აილოთ-გაჩხრიკოთ  
 და გამოკადოთ საქმითა,  
 გინდ უსწავლელი და გინდა  
 განათლებული სწავლითა,  
 გინდ ისიც, ვინაც რომ არის  
 კეთილის მქადაგებელი  
 და ისიც ვინც რომ ქონებით  
 ბევრის არს შემადლებელი,—  
 ვერ მივენდობი ვერც-ერთსა!..  
 ვერ ვერწმუნები გულითა!..  
 ვერც დაეიჯერებ, რომ სადმე  
 მალალი იყოს სულითა!..

დასინი.





### ჩენი მწერლობა.

„...ხითხითებს და ხითხითებს“... ეწოდო შ. არაგვისპირელის; „ოვალეზი“, მოთხრობა განდვილსა, „მოამბე“, № VII. „ტკბილეზი“-განდვილისა, „მოამბე“, № VIII. 1896 წ.



ცნაური ფათერაკი სდევს ქართველ მწერალსა და მს მწერლობას: „ზოგჯერ მზე და-ცქერს და ზოგჯერ ცა რისხვით მოუქუხდების“. ეს ფათერაკი ქართველ მწერალს ნამდილო, ტიპურ ქართულათ, და არა ევროპიულათ, ეწევა ხოლმე. საქმე შემდეგში მდგომარეობს: ლამაზი „ბეჩა, რაღა მკლავე“ — ის შემდეგ ბ. არაგვისპირელმა გვიძღვნა ჩვენ, მკითხველებს, ახალი ეტიუდი, .. ხითხითებს და ხითხითებს“... , რომელს, რომც გესურდეს, მაინც ვერ ვაქებთ, ვერც ფორმითა და ვერც შინაარსით. მოუფიქრებელი და შეუმუშავებელია, და ამაში ჩვენც გვიდევს ბრალი, ქართველ მკითხველებს. ჩვენ, ქართველებს, ჩვეულებათ ვვაქვს, თუ ვაქვთ ვინმე — ქება უფმწვერვალესი, და თუ ვაძაგეთ — ძაგება უფუსკრულესი. გულზე ხელ დადებთ უნდა ვღაიროთ, რომ გეჭირს და გვაქვს ყველა ესე და არ მოგვდგამს და არა გვაქვს დისციპლინა, სკოლა შეთვისებული. იმ ევროპეიზმსა ვართ სრულეზით მოკლებული, რომელიც თვის თავსა და თვის მოძმესაც სასტრუკ კანონებს აქვემდებარებს ცხოვრებაში და მწერლობაში და მით ერის ხასიათს წრთენის და განამტყიცებს. იქ, იმ ევროპეიზმის მიდამოსამფლობელოში, ევროპეიზმის ცხოვრებასა და ლიტერატურაში, ვერ გაბედავს და ვერ ამოჰყოფს თავს ვერც ერთი თვალ-ამღვრეული, პირ-დაუბანელი და თმა-დაუფარცხნელი მოვლენა. თუ გაბედა და... „Ei done!“ — ს მიაძახებენ, ცხარე ქოქოლას მიყრიან და სირცხვილეულ-ქმნილს იმ წამსვე თვის სოროში შეაძვრენ-შეაბძანებენ. ჩვენ ქართულ ცხოვრებასა და მწერლობაში კი ამგვარი თვალ-ამღვრეული, პირ-დაუბანელი და თმა-დაუფარცხნელი მოვლენა ლამაზათ და არხენიანთ ამოჰყოფს ხოლმე თავს და ყველგან ტკბილათ და საყვარლათ მიღებულთა.

„Le style — c'est l'homme“, ამბობენ ფრანგები. ჭეშმარიტებაა. აგრეთვე ჭეშმარიტათ ითქმის, რომ ადამიანი და მისი სიტყვა — ერთია და ერთია — ერი და მისი მწერლობა. სიტყვა და ადამიანი განუშორებელნი არიან ერთმანეთსაგან და ადამიანი სიტყვით გამოიცილობის.

მთელი ჩენი ერის სულიერი, შინაგანი წყობილება მის გარეგან ნივთიერ წყობილებას უდრის და

ემგზავსება ყოველისფერში. აგრეა ჩენში და აგრეა ყველგან. ჩენი ოჯახის ნაშენობა, კონსტრუქცია, არქიტექტურა ჩენი სულის ხუროთ-მოდღერ-არქიტექტორისაგან არის აშენებულ-აგებული და ჩენი მწერლობაც რგივე არქიტექტორის ნაშაბია, იმ არქიტექტორისა, რომელსაც ჩენებურათ ჰქვია უდარდღობა, უდისციპლინობა და ტკბილ-პატრიოტობა.

ყველა ეს ჩენი ლამაზი ღირსებანი ყოველგან და ყოველთვის გვიხდენენ ჩვენ საქმეს და, სამწუხაროთ, ბ. არაგვისპირელსაც წაუხდინეს მისი ახალი ეტიუდი „...ხითხითებს და ხითხითებს“... , წაუხდინეს იმიტომ, რომ ბ. არაგვისპირელი ქართველია და ჩვენ ქართველები ვართ და ერთმანეთს ალაღ-ლომობიერათ ვევიდებით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ. არაგვისპირელი, როგორც ნიჭიერი, სიმპათიური მწერალი, თ-თონ გრძნობს თავისი ეტიუდის ნაკულევენებას, მაგრამ უდარდღობამ დაძლია; „ხოლო იმათთვის, ჩვენ ქართველებისთვის შეგითხზავს და დავიწერიაო და გაუშვი, იაროს აქ ჩენში, არაფერი უჭირსო“, წაუჩურჩულა ამ უდარდღობამ ყურში ბ-ნ არაგვისპირელს და ხელიდან ეტიუდი გააშვებინა.

რას ეხედავთ ჩვენ ამ ეტიუდში? რასაკვირველია, თავდაპირველათ მის სათაურს და ამ სათაურიდან დავიწყეთ. ენახოთ, ეთანხმება თუ არა ეს სათაური ეტიუდის შინაარსს. ეტიუდში გამოყვანილია უზნეო, à la française ექბილა არსება, სახელათ ანა, რომელმაც ტკბილი საწამლავე ჩაუწვიეთა ეტიუდის გმირს ყურში და გაქრა თვის მეუღლესთან ხელი-ხელ გაყრილი. გრძნობს: დამართობი საწამლავე რამდენიმე ს-ტყვიდან იყუ შეზავებული: „ხოლო გაიგონეთ, რასაც ქაიხოსრო გეცხენებთ!?... — არ დაგვიწყეთ, გეწვიეთ ამ ზაფხულსა!...“ ამ საწამლავს შემდეგ წერილიც დაემატა და მოჯადოებული ყმაწვილი გაფრინდა კეკლუცის მიმართ. დასაწყისი ცოცხალი და მოძრავია.

მოულოდნელათ იკლუცის მეუღლე, ბედკრული ქაიხოსრო, არღვევს ამ ყმაწვილ ტრფიალთა ტრფიალებას. იმთ „ხეენა-კოცნა მტლაშა-მტლუშს“ მოუდარაჯებს და მრისხანე შურის-ძიების მსგავსათ ამოჰყოფს თავს ბუტკებიდან. კეკლუცი კი მის გამოჩენამდის ასწრობს წამხდარი საქმის გასწორებას. ერთ ლაზათიან სილას აქმევს თვის ტრფიალსა და ამ საშუალებით იგი ქაიხოსროს თვალში მისი კუთვნილი სიყვარულის მოძალადე ქურდ-მტაცებლათ გამოჰყავს.

გაქრა ტრფიალების უკანონო ქურდი და დამშვიდდა კეკლუცის კანონიერი ქაიხოსრო. კეკლუ-



ცამ ეს არ იქმარა და ისე მოუღობო თავის მეუღლეს გული, რომ კიდევაც შეაყვარა და შეაბრალო გამქრალი თვისი ტრფიალი და ახლა სიკვლეუტო საესე უსტარსა წერს და პატიჟობს თითონაცა და ქაიხოსროს მაკიერათაც. გამქრალს ახლა სხენაირათ მადას უღვიძებს კეკლუტის უსტარი. მას შესძადა მისი საზიზღარი მუხანათი სული და შეუყვარდა მისი შეენიერი და გემრიელი ხორცა. განა როგორ არ შეუყვარდებოდა, როგორ არ აუშფოთაედა და არ აურევდა მის ხორციელ გრძნობებს კეკლუტას შემდეგი სტრიქონები: „ისე მოვულზე ჩემ ბებრუტუნას გული, რომ ახლა მე და შენ ერთ საბან ქვეშაც რომ გენახოს, არაფრათ მიიწნესო“.

მიპქრის გამქრალი ისევე თვის ხორციელ სატრფოს მიმართ და ახლა სულ მასთან არის. მათი გულზე დღე და ღამ სულ საერთო გრძნობის საბან ქვეშ არიან... ქაიხოსრო კი იმათი ყოფა-ქცევით სტკვება ზღსამოვნებით „ხითხითებს და ხითხითებს“...

მაგისტანა ქაიხოსროს კი რა უთხრათ! მისი ხითხითი ეტიუდის სათაურათ კი არა, ტყუილათ სახსენებელათაც არა ღირს, ისე, როგორც მთელი მისი არსება. რა არის ქაიხოსრო? ჯირკი და სხვა არაფერი, ამ ჯირკზე დაგვიხატა აეტორმა კეკლუტა კეკლუტობა და სათაურათ „ჯირკი“ დაუსვა.

რა გამოსაყვანია მოთხრობაში ჭკუა და გრძნობა ჩლოუნგი გვამი? ამისთანა არსების სულსა და გულში მხატვრობას გასაქანი არა აქვს:—საითკენაც უნდა გაქანდეს—ყველგან ციესა და მაგარ კლდეს შეასკვება. ამისთანა გვამის ფიქრი და მოქმედება—კოდალას კაკუნია და საცეხველის რაკუნი. კოდალას კაკუნსა და საცეხველის რაკუნს კიდევაც ვაცილებით მეტი შნო აქეთ ამაზე. კოდალა თავისი კაკუნით ტყის მყურდობას ალაზათებს და საცეხველი კი თავისი რაკუნით წმინდა ვაცივილ ღოშს გვიკეთებს. უჭკუას ჭკუა კი არც არაფერს ვეილაზათებს და არც არაფერს ვეიკეთებს. მხოლოთ იმითა ჰგავს მისი ჭკუა კოდალას, რომ სულ ერთნაირათ კაკა-კუტობს და იმითა ჰგავს საცეხველს, რომ, რაც გინდა შინაარსითა, რაც გინდა ცხოვრების წყლით აავსოთ, ერთს უგემურათ დაიძახებს, ააწევა და ერთ აღვილსა ჩაჰკრავს ცხვირს.

ამისთანა გვამს აღირსა ბ. არაგვისპირელის უღარდებლობამ სათაური და ბოლო ეტიუდისა.

ახლა შევეუღვეთ იმის განხილვას, თუ რას ჰქევა მწერლობაში სათაური. სათაური მწერლის ნაწარმოების აზრი და შინაარსია. ეს აზრი და შინაარსი ზოგჯერ მისი ნაწერის პირველ სტრიქონიდან გამოცხადდება ხოლმე და შემდეგ მთელ ნაწერის სიგძევე მოძრაობს და მუშაობს, ზოგჯერ კი ნაწერის ბოლოში

დაიბადება ხოლმე, თავისუფლათ, ლამაზათ, უტყეურათ და უბებოთ. პირველ შემთხვევაში ნაწერი სათაურისაგან პირველ სტრიქონიდანვე განათავისუფლებული, მეორე შემთხვევაში კი ნაწერის ბოლო სტრიქონებამდის არის იმით ორსული.

წარმოიდგინეთ ახლა, ღირდა თუ არა ორ-სულობათ იმისთანა ორსულობა, რომლის ნაყოფათ გამოგვეცხადებოდა... ქაიხოსრო? სწორე მოგახსენოთ არ ღირდა და არც ეღიერება არას ღროს და არაფერ შემთხვევაში.

ბ.ნ არაგვისპირელის ეტიუდის განზრახვა, აზრი კარგი გამოსაყენებელია, კარგი მასალაა და მას გულდასმით შემუშავება უნდოდა. კეკლუტა ქალის გული საფრთხეთა ბუღეა და მისი გამოქვეყნება კარგი რამ არის.

მოარეთ თვალი ყველგან, გადაკვლუტებული თუ არ არის ქალთა ქვეყანა. აბა თუ კარგი ვაჟაკი ბძანდებით, ისე გაიტანეთ კეკლუტა საზოგადოებაში თქვენი გული, რომ ან მარჯენიდან-მარცხნით, ან მარცხნიდან-მარჯენით განგმირული არ გამოგყვით.

„დამნებდით!“ შეუთვალა სპარსეთის მპკობელმა თერმოპილეს ხეობაში სპარტანელ გმირს ლეონიდეს და მის რაზმსა; „დამნებდით, თორემ ჩენი სპარსული ისრები მზე დაგზნელებენო!“

„რა გეიჭირს, ჩენ ჩრდილშიდაც კარგათ ვიომებთო“, შეუთვალა პასუხათ ლეონიდემ.

და აბა ახლა ჩვენ ცხოვრებაში თუ გამოვა იმისთანა ლეონიდე, რომ ამგვარი პასუხი ჰკადროს ჩვენ კეკლუტს, რომელთაც ბევრს დაუბნელეს თავის კეკლუტი თვალების ისრებით მზე და გამოუღამეს თვალები.

ჩენი ღროის ლეონიდები მოჩილიბას არჩვენ: ნაკლები სახიფათოც არის და ტკბილ გამოსაყენებელიცა.

ერთი ამისთანა ჩენი ღროის ლეონიდეა ბ. არაგვისპირელის ეტიუდში გამოყვანილი — კეკლუტის ტრფიალი; მაგრამ მას მაინც მეტი სიცოცხლის ნიშან წყალი ატყვია, ვინემ ჯირკ-ქაიხოსროს.

დაგვჩა ახლა თითონ კეკლუტი სამუსაიფ-საბასოთ. ყველაზე უფრო ცოცხლათ ესა ჰყავს ბ. არაგვისპირელს გამოსაწულ-გამოყვანილი. ყველა მის სიტყვასა და მიხერა-მოხერაში სიკვლეუტის სხივი გამოკრთის. ქაიხოსროსათვის რომ, მის მეუღლის მსგავსათ, ცოცხალი სული ჩაედვა აეტორს და ეჩვენებინა ჩენთვის ის გზა, ის პრაქცესი, რომელმაც ვადუბრუნა და მოუღობო გამწყრალი გული ქაიხოსროს, ჩენგან მადლობას ეღირსებოდა. მაგრამ აეტორი აქარდა და სიქარეს ქებულსა, ხომ მოგხსენებათ, სიწყინარე გომობილი ჯოზნის. აეტორმა შე-



მოაფანტა თავისი ნიჭის სხივები მხოლოდ კეკელუცა რაინდას, რაინდები კი ბნელში და უსინათლობაში დაადგო.

რალა ბებერი მოგაწყინოთ, ისეც ძრიელ გამიქიანურდა ჩემი წერილი და მეშინია რომ ბ. არაგვისპირელის პატარა ეტიუდთან შეუხამებელი არ გამოვიდეს.

ძველ საბერძნეთში ერთი ქალაქის მოქალაქეებმა ერთი იმ დროს განთქმული ფილოსოფოსი მოიწვიეს და თავისი ქალაქი დაარონიეს. ქალაქი პატარა იყო და უზომო დიდი კარები კი ჰქონდა. „რა აზრის ბძანდები ჩვენ ქალაქზეო?“ ჰკითხეს მოქალაქეებმა ფილოსოფოსსა.

„ჩქარა დაკეტეთ კარები, რომ თქვენი ქალაქი შიგ არ გაგვპაროთო“—უპასუხა ფილოსოფოსმა.

მეც, სანამ მკითხველის აზრს შევიტყობდე, ჩქარა უნდა დაეკეტა ჩემი უზომო დიდი წერილი, რომ ბ. არაგვისპირელის პატარა ეტიუდი შიგ არ გამეპაროს.

ი. ნავაშიძე.

(გაგძქელება შემდეგ)



ყურნალ-გაზეთებიდან.

**მ**ასწავთო, ახალ სპარსეთის შახს მუზაფარ-ედდინს „Indépendance Belge“-ის კორესპონდენტის სიტყვით, სხვა-და-სხვა რეფორმები შემოაქვს თავის ქვეყნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

ხარჯის შესამოკლებლათ მან დაითხოვა 8,000 მოხელეებზე მეტი; რადგანაც სპარსეთში აქამდის სახელმწიფო მოხელეები დიდ სიბოროტეს წარმოადგენდნენ ხალხისათვის, ამისათვის ეს ზომა ყველასათვის სასიამოვნო დარჩა.

შემდეგ შახმა შეამცირა ხარჯი თავის სასახლის შესანახებათ 150,000 კრანამდის (75,000 ფრანკი), მაშინ როცა ნასრ-ედდინის დროს ეს ხარჯი ხუთ მილიონ კრანამდის აღიოდა, რასაკვირველია იმას გარდა, რასაც შახი თავის კერძო საშუალებიდან ხარჯავდა.

მეორე ახალი რეფორმა გუბერნატორების დანიშნას შეეხება პროვინციებში. აქამდის ყველა გუბერნატორები პირდაპირ იჯარით იღებდნენ პროვინციებს, ასე რომ ყიდულობდნენ გუბერნატორობას მეტ თუ ნაკლებ ფასათ და ამასთანავე ლეზულობდნენ ქრთამს უსაზღვროთ. ამ ქამათ გუბერნატორები ეე-

როპიულათ უნდა მოეწყონ, ე. ი. ჯამაგირს იღებენ, ქრთამის აღება კი აკრძალულია. ჯარების უმთავრესი სარდლობა თვით შახმა იკისრა და აგრეთვე სამხედრო მინისტრის მოვალეობასაც ის ასრულებს. თავის ბიძაშვილი პრინცი ფერმან-ფერმანი შახმა დაინშნა ტეგერანის გუბერნატორათ და თავისი სიძე ინჟინერი სამიდ-დოღედი, რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო, ზღვის მინისტრათ.

ამ უკანასკნელ დროს გააერცვლეს ხმები, რომ ერთმანეც ახალ შახს განზრახვა აქვს მომავალ წელს ევროპაში იმოქაუროს. „Indépendance Belge“-ის სიტყვით კი ის მხოლოდ პარიზის მსოფლიო გამოფენის დროსთვის ემზადება ევროპაში წასასვლელათ.



კარცერი და ტიკტორა.

ძველის ძველი ამბავი.

გუქდენი ჩემს მეგობარს ს. მ. კვ—ის. \*)



მ წერილის წაკითხვის შემდეგ ისეთ ბურანში გავიხვიე, რომ დიდ ხანს გონზე არ მოვსულვარ. ახლა მთლათ დაჯანბნებულათ ვიკრძენი ჩემი თავი. მამის იმედი მქონდა, იქნება იმან მოუღოს ბოლო ჩემ ტანჯვას მეთქი და ახლა ეს იმედიც დამეკარგა. ამიერიდან მთელი ჩემი არსებით უნდა დავმორჩილებულიყავი უფროსების თვითნებობას, რომ ამით „ქვეყნის ბარკათ“ გაზღომა თავიდან მომეშორებინა.

ჯერ კიდევ ამ წერილიდან მიღებული შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ ვიკავი, რომ უცებ გვერდით თედორემ ჩამიარა და ხელში, არაგვის არ დაუნახავს ისე, წერილი ჩამიცოცა: —არაგინ დაგინახოს, ისე წაიკ-თხე და მერე რაც გადაწყვიტო, შემატყობინეო, მითხრა მან და წავიდა. —რა ამბავია, გამიელვა თავში, ამდენ ხანს არაგინ ჩემს ამბავს არ კითხულობდა და ახლა კი ორა წერილი ზედიზედ გამომიგზავნეს. ბარათი რალაც გამოუთქმელი მღელვარებით გავხსენე, დაეხდე მაშინვე წერილის ბოლოს. გავხსენებოდი იმას, ვისიც იმედი ყველაზე უფრო ნაკლებათ მქონდა. მწერდა მოხუცებული ბიძა ჩემი. მისმა ბარათმა ჩემი გული სიხარულით აავრთოვანა. —„შევიტყეო, ამბობდა ის სხვათა შორის, რომ შენ საპყრობილეში ჩაუტყდინებო, იმიტომ რომ ღვინო გავხსენებია. მადლობა ღმერთს,

\*) ის. „კვალი“ № 38.



რომ ვე კანონი მარტო მოსწავლეებზე ყოფილა, თორემ მაშინ ხომ მე მთელი ოჯახით საპყრობილეში უნდა გადაესახლებულიყავი. უთხარი მაგათ: ცოტა-ცოტა ყველაფერი კარგია და გადაჭარბებული კი არაფერი არ ვარგა-თქო. ჩვენ კაცს რომ ღვინო დააკლდება, მას მაშინ ჯანიც მოაკლდება და ჯანი რომ მოაკლდება შრომასაც ვერ შეიძლებს და თავშიც სხვანაირი ქარი ბერვას დაუწყებს-თქო... შენ გული არ გაგიტყვეს, მარჯვეთ იყავი, კარგათ ისწავლე და მე თუ ცოცხალი ვარ, არაფერს არ დაგაკლებს. ახლაც გიგზავნი ერთ ტუქტორა ღვინოს, ჩურჩხელებს, ინდოურს, გოჭს და ცოტა სხვა რამესაც. ერთი მაქათურებს ჩვენებურათ გაუმასპინძლი... აბა შენ იცი, როგორ ყოჩაღათ იქნები... სწავლაში, იცოდე ყველას აჯობე, გვარი არ შეგვირცხვენო... არ დაჯავრიანდე, ნურაფრის ნუ გეშინია, გამაკრდი..

ეს სიტყვები ჩემ გულს განჰკურნებელ მალამოთ წაეცხო. ამ წერაღმა ჩემი არსება თითქო მთლათ ერთიანათ განაახლა. ვაჭკრა უწინდელი დაჩაგრული მდგომარეობა, მასთან გამშორდა ჩვეულებრივი დაღვრემილობაც, კვლავ გამეფდა ჩემში ძველებური სიმკვირცხლე, კვლავ დამიბრუნდა ძველებური სითამამე; მთელი ჩემი სულიერი არსება ამ წამში, ცოტა ხნით მაინც ერთიანათ გამოიცვალა. მე ერთი, გათამამებული შეველსაიეთ შეგუენტრუშიდი, ჩავიდე წერილი უბეშა და ამხანაგებთან გავიქეცი, რომ ისანი ახალი ამბით გამეხარებინა.

— რა განხროთ, რა განხროთ! ჩემთვის ერთი ტუქტორა ღვინო გამოუგზავნათ, კალდე ჩურჩხელეები და...

—სუსუჭ,—მომამახეს იქიდან-აქედან და პირზე ხელი მომავარეს.—ჩუმათ თქვი, არავენ შეგიტყოს, თორემ იმისთანა ტუქტორას მოგცემენ, რომ თავიც დაგავიწყდება,— მითხრეს იმათ რალაც სადღულო ხმით.

თითქო თავზე ერთი კოკა ცივი წყალი დამახსნოს, ისე იმოქმედა ჩემზე ამ სიტყვებმა, თან ისე დააწვა ჩემ არსებას ის გამოუთქმელი სიძძიმე, რომელიც ჩემს მოღრეკას ღამობდა.

— ღვინო მოგივინა? ჩამეკითხა ერთი ჩუმათ. მე ხმა ვეღარ ამოვიღე.

— თქვი, ნუ გეშინია, ჩვენ სიხლოვეს ახლა ჯამუშთავანი არავენ არის!

— მომივიდა მგონია, ვუპასუხე მე უგუნებოთ.

— საიდან შეიტყე?

— თედორემ მითხრა.

— ჰოო, აბა მართალი ყოფილა, წავიდეთ უფროს მოსწავლეებს შეეატყობინოთ.

ამას შემდეგ ვანკარკულება „უფროსებსა“ მო-

აზღინეს. არჩიეს, არჩიეს და გადაწყვიტეს, რომ მარტო ტუქტორა და ცოტაოდენი ჩურჩხელა თედორეს პანსიონში უნდა შემოეტანა და დაედო ღრობებით ძველი ტანისამოსებს საწყობ ოთახში, სადაც არავენ არ შედიოდა უფროსთავანი. იმ დღეს შაბათი იყო. ყველა რომ ლოცვაზე წავიდოდა, ჩვენ თითო-თითოთ უნდა გამოვსულიყავით ეკლესიიდან, დაველია თითო ჭკა ღვინო, ზედ ჩურჩხელაც დაგვეტანებინა და დანარჩენი კი უნდა გავგვევანა სასწავლელოს საავთმყოფოში შესანახავათ, სადაც პანსიონთან შედარებით ბევრათ უფრო მეტი თავისუფლება იყო. ზოგს იმ საღამოსვე, ზოგს მეორე დღეს უსათუოთ ავთმყოფობა უნდა მოგვევანებინა და ამით საავთმყოფოში თავი უნდა ამოკეცო, სადაც, რა თქმა უნდა, ჩვენ წინ გაიშობოდა, სუფრა, რომე ლსაც დაშვენებდა: ჩვენებური შავი ღვინო, შეპიწკინებული გოჭი, ჩასუქებული ინდოური, ქვინტილი ყველი, ქაღას პურება და ქაღას ლავაშები; წარმოიდგინეთ, ბიძიას მწეანილიც კი არ დაიწყებოდა...

დაჭკრა საღამოს ექვსმა საათმა და სასწავლელოს გატეხილმა ზარმაც რეკა მოუხშირა. მოსწავლეები რიგ-რიგათ ჩავამწყარავეს და საყდარში წავიყავს. მე რალაც უცნაურ აღტაცებაში და თან გამოუთქმელ შიშში ვიყავი. ბაგეზე ღიმილი არ მშორდებოდა, მაგრამ ამასთან ფეხებში ახარებული კანკალი გამიბრუნდა ხოლმე, ყურები პითქას ჩამოყრალი მქონდა, მაგრამ თვლები კი ეშმაკურათ იკითხეთ გარბოდ-გამარბოდა. დიახ, მე მახაროდა და ვიტანჯებოდი, აღტაცებაში ვიყავი მოსული და ვწუხდი, გულადთ ვკრძნობდა თავს, მაგრამ მარც კვანკლებდა. აგერ ერთი „ჩვენთავანი“ კალდე გავიდა გარეთ. ის რომ გარეთ გასული დაეინახე, მე ვეღარ მოვისვენე ჩემს ადგილზე. რალაც ძალამ მთლათ დამიმოზრდილა და ჩემდა უკითხავათაც ადგილიდან დამანძრია. გავუარე აღმზღელს, შევჩერდი ცოტა მის წინ, შევხედე მას ღმობიერათ და ტუქტაც გავცმაცურე. ჩვენ თითქმის ყველანი ამნარათ ვთხოვდით ხოლმე მას გარეთ გასვლის ნებას. მან თავი დამიქნია. მე უფრდულივით გარეთ გავიქაწე. შევიპარე მაშინვე ტანისამოსებს საწყობ ოთახში. ავთვალ-ჩავათვალე, მაგრამ ტუქტორა ვერსად დავინახე. მერე აწვიე ერთ კუთხეში მიყრილი ტანსაცმისი და პატარა კუპრიელსაც ხელი წავეკლე, რომელიც კინალამ გადმოხტა იატაკზე. მისი ხელოში დაკავება ძლიერ მოვასწარი, რომ გარედან რალაც ხრაგინი მომესმა. ტუქტორა მაშინვე იატაკზე ვაეკატრალი და მე ნელ-ნელა გამოვიპარე. გარეთ ვერაფერ



დღეინახე, მაგრამ მაინც გულის-ფანტკალით მივირბინე იმათთან, ვინც მე მიცდილა.

— რა ამბავია? მომამახსენს მაშინვე.

— არის, მაგრამ...

— რაღა, მაგრამ!

— კაცო რაღაც სერიოზინი მომესმა, იქ რომ ვიყავი.

— ტიკპორა თუ კია, სხვა ნურაფრის ჯგერინუ გაქვს; ახლა პანსიონში ჩვენს მეტი არაფერ არის. აბა წავიდეთ.

მე წაფუტხები და ისინი ქიქით ხელში, უკან შორი-ახლოს გამოძევენ. შევედი თათხში.

— აბა სადაა, დამალული გაქვს?

— არა, აგერ არის, ეუპასუხე და თითიც იმ ადგილს მივაშვირე, სადაც ტიკპორა დეტროვე. მაგრამ უცებ ტანში რაღაც ჟრჟოლამ ვამიარა, თითქოს თავში მესი დამეცა და მიწასთან ვამსწორა. ტიკპორა ვეღარსად დღეინახე.

— მერმე სადა! ჩამითურჩიულეს იმათ.

— მე აქ დეტროვე...

— მერმე აქ რომ არ არის? რას გაჩერდი, თქვი კაცო! აქ თუ დეტროვე სად წავიდოდა?

— მე რა ვიცი! ტიკპორა მრგვალი იყო, იქნება სადმე გადაკოტრიალდა, ამოვიღე, როგორც იყო ხმა. დაფუწყეთ ძებნა. მთლათ გადავატრიალეთ იქაურობა, ჩურჩხელა ენახეთ და ტიკპორა კი ვერა. თითქო რამემ ჩაყლაბა ან ფრთები გამოცხა და გაფრინდაო. გაბეცებული კარგა ხანს ეუმზერდით ერთმანეთს და ვერაფერი კი ვერ მოგვეფიქრა. მერმე ერთს წამოცდა:

— აღბათ ისევ თედორე წაიღებდაო!.. ყველა თედორესთან გაეიქცეთ.

თედორემ რომ ეს ამბავი შეიტყო „იტკელიცა“ თავში ხელი—ვაი! რაღა დავლუპულეფართ ამდენი კაცი! ტიკპორაი სწორეთ დაჭირული იქნება. დაიწყებენ ამაზე გამოძიებას და მეც ხათაბალაში გავები და თქვენცაო. ჯერ ყველამ იუარეთ, დაუმატა მან, ტიკპორაი, რას ჰქეა არც კი ვიციოთ-თქვა, უთხარით, და თუ საქმე წახდეს, მერმე რამე უნდა მოვიფიქროთო...

III.

რამდენიმე წამში ეს ამბავი, თითქმის ყველა მოსწავლეებმა იცოდა. საყდარშივე ეკითხებოდნენ ერთმანეთს:— რა ტიკპორა! ან რა დამართაო?

— იმისთვის, ვერ რამ დგას, გამოუგზავნიათ სოფლიდან, მაგრამ... გაფრენილაო, უპასუხებდნენ და ღიმილით ჩემსკენ გამოიხედავდნენ. ლოცვა გათავდა. საღამოს თემრონიაც დავლიეთ და ჩვენ სამეცადინო

ოთახში გავემგზავრეთ. ყველა ტიკპორაზე ლაპარაკობდა. ზოგი სიცილით სკდებოდა და ზოგი კი გულის კანკალით მართალი ამბის შეტყობას ელოდებოდა. მე თან-და-თან სასოწარკვეთილებაში ვვარდებოდი. მოსწავლეები მანუგეშებდნენ და კიდევ მარწმუნებდნენ, რომ პანსიონის ლოთი მოსამსახურე ტიკპორას თვალს შეასწრებდა და მოიპარებდაო. სამწუხარო ის არის, რომ ღვინო დაგვეკარგა, თორემ საშიშარი აქ არაფერი არ არისო.

— ღვინოს თქვენი ჭირი წაუღია, იმის დარდი ვისა აქვს, მაგრამ თუ დაჭერილია, მაშინ ხომ დავილუპე კაცი, ხომ გამოამადებენ უსათუოთ და რაღა მემეღლება, საით წავიდე!..

— ეჰ, არაფერი არ იქნება, ნუ გეშინია! თუ ვინმემ რამე გკითხოს, პირდაპირ იუარე, მეუბნებოდნენ ისინი.

დარბაზში მაინც ისე თამამათ შევედი, თითქოს არაფერ დანაშაულობას არ ვგრძნობდი, მაგრამ აღმზღელის საწერ მაგიდას რომ დავუხანლოვდი, სახეზე ერთიანათ გავფითრდი-და ფენიც ველარ მოვიცეალე.

მაგიდის წითელ მაუღზე წამოკოტრიალებულა არხენათ ჩემი ტიკპორა და უცხო ფერათ თონთოლობს. აღმზღელი მოჯდომია გვერდში და თითთ ეთამაშება. ხან დააქერს საჩვენებელ თითს და ხან გამოსწევს. ღვინო ამის მიზეზით თამაშობს, ტიკპორა ცოცხალ არსებასავით ინძრევა და აღმზღელის სიხარულს კი საზღვარი არა აქვს...

ერთი წამი კიდევ და მუხლებიც მომეკეცებოდა, რომ აღმზღელს არ შემოეფიქრა:

— ჰაა, რას გაჩერდი! ეს, ეს, რა ჰქეია, ეს დასწყველოს ღმერთმა, რაღაცა რომ ჰქეია, თხის ტყავიდან რომ აკეთებენ, აი ეს, გადაუსვა ტიკპორას ხელი—ეს შენია?

— არა, წამომცდა უცებ დაუფიქრებლათ.

— ყველა რომ „არას“ იძახით, ვისია თქვი, თორემ, ხომ შევითყობთ მაინც და მერმე უარსია.

— არ გატყდეთ, მამხნეებდნენ სხვები.

აღმზღელი კი სათათაოთ ეკითხებოდა ყველას და ყველა რა თქმა უნდა პირ-და-პირ უარს ეუბნებოდა. ამასობაში ზედამხედველთან გამოგზავნილი კაცი მოვიდა და აღმზღელს შემდეგი ბრძანება მოუტანა:— „მოახდინეთ სასტიკი გამოძიება, შეიტყეთ უსათუოთ ვინ განიზრახა პანსიონში ლოთობა! ვის ეკუთვნის შემოტანილი ღვინო. ეს ამბავი მოხსენდება სასწავლებელის გამგეს და განაჩენსაც ის დასდებს. ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ის ტალახში ამოსურილი ღორი, რომელიც ასს სხვა ღორს ტალახსა ცხებს, თავიდან მოვიშოროთ და აქედან გავავლოთ. თუ არაფერ გატყდეს, შეადგინეთ



საეჭო მოსწავლეების სია... ტიკტორა არ გახსნათ, ისე ხეაღმდის უჯრაში ჩაჰკეტეთ. მე უქეიჯობის გამო ამელამ ველარ მოვდივარ“.

აღმზღელმა დაიწყო გამოძიება, მაგრამ იმ ბიჭმა, რომელიც თურმე ვათვალისწინებდა და რომელმაც ტიკტორა მოგვტაცა, ჩვენი გვარები არ იცოდა და პირდაპირ ჩვენება კი ვერ გაბედა, რადგანაც გამოცდილებით იცოდა, რომ ამისათვის ბევრი მოხედებოდა გვერდებში. ჩვენი კი ყველა უარზე ედგით. ასე რომ ბევრი ვერაფერი შეიტყვის, ისევე შეადგინა აღმზღელმა სია, რომელშიაც შეიდი კაცი მოაქცია და დაგვეშუქრა, რომ შეიდივე ხელიდან სასწავლებელს გამოეთხოვებინათ. ზედამხედველთან რომ ამ სიის გაგზავნას აპირობდა, მე ველარ მოვითმინე, რომ ჩემი გულ-სათვის სხვები დასჯილიყვენ და აღმზღელს პირდაპირ გამოუტყვანდნენ, რომ ტიკტორა ჩემია, თუმცა ლოთობას კი არ ვაპირობდი-მეთქი.

ამას შემდეგ აღმზღელმა, რასაკვირველია, საქიროთ დაინახა მე გაველანძღე და დავეტუქსე და ზედამხედველთანაც საჩქაროთ წერილი გააგზავნა, რომელშიც ატყობინებდა სასისხარულო ამბავს—სასტუკ გამოძიებას შემდეგ ლოთი ამოეჩინე.

ვერმე მან გამოაწია მაგიდას უჯრა, ჩაღო შიგ ტიკტორა, დაეცა საგანგებოთ, ჩაიღო გასაღები შარვლის ჯიბეში და თითონაც იქვე მოუჯდა...

ავერ ღამის თორმეტი საათიც შესრულდა—უმცროს მოსწავლეებმა ხომ ცხრა საათზე დაიძინეს და უფროსებიც თერთმეტზე მილაგ მოლაგდნენ. ყველა ალაპარაკა ამ უკუღმართმა ტიკტორამ, ყველა აღელდა ჩემმა მდგომარეობამ, მაგრამ ვის რა უნდა ექნა! საესებრთ დავემორჩილეთ ჩვენ ბედს და დიდი აღშფოთებით მეორე დღეს ველოდით. ყველამ მოისვენა. ყველამ დაიძინა. მხოლოდ მე ხან ერთ გვერდზე გადაეტრიალდებოდი და ხან მეორეზე, თან ცხარე ცრემლები თვალთავან მცვიოდნენ. ვწყველიდი ჩემ გაჩენის დღეს, ჩემ მშობლებს, ჩემ ბიძიას, სასწავლებელს და თან სულ ყველას. ჩემი გამოგდება საეჭო აღარ იყო. დიახ, უნდა გამოვეგდეთ და მერე რისთვის? — ლოთობისთვის. დიახ, ლოთობისთვის! ამაზე უფრო სამარცხენო გამოგდება შეიძლება?! რაღა შემეძლება! საით წავიდე? მამა ხომ სახლშიც აღარ მიმიშვებს! რა ექნა, რა მოვიფიქრო!

ღმერთო, ღმერთო, მოხედე ჩემ საცოდაობას, ნუ დამტანჯავ უდანაშაულოთ. მხოლოდ ახლა, მხოლოდ ერთხელ გადამარჩინე განსაცდელისაგან. ამ ერთხელ მაპატიე, ნუ გამოგადებინებ აქედან ჩემ თავს და მერმე თუ ცოტა რამე დავაშავო, თუ უნდათ გამოგადგონ, კი არა, ფეხებითაც ჩამოგიკიდონ! ღმერთო, ღმერთო!..

ცრემლებმა მთლათ დამისველეს ბალიში; მშრალი ადგილი აღარსათ იყო, ბალიში გადავებრუნე, მეც მეორე გვერდზე გადავებრუნდი. ბალიშის მეორე მხარე საშინლათ ეცივა ჩემ გახურებულ სახეს. ამ სიცივემ ცოტათი გამომაფხიზლა გამოურკვეველი ბურანისაგან. თანაც ჩემ მდგომარეობას ნამდვილი თვალთ შევხედე:—მე მამრალეგენ ლოთობას. თუმცა ლენის სმაში არ დაუტყერივართ, მაგრამ ლენო ხომ დამიჭირეს და დამიჭირეს პანსიონში, სადაც ლენის სმა კი არა, ხსენებაც მხოლოდ ახალ-წელიწადს და აღდგომას შეიძლება. მე გაეტყდი. ხეალ მოვა გამოგეც. იტყვის ჩვეულებრივით უშეგლებელ გრძელ სიტყვას და მერმე ჩემს გამოგდებასაც გადაწყვეტენ. რა ექნა მაშინ! აქ დავთარი ხელ-მეორეთ დამებნა და ისე ბურანში გავხვები. შევიქნები ჰქეყვის ბარგი“. შეიძლება ღორის მწყემსათაც მომიხდეს ყოფნა. იქნება რამე ამაზედაც უარესი, თუ მამა ჩემმა აღარ მიმიკარა... იმან არ მომწერა, რომ თუ გამოგადგეს მიჩვენა ცოცხალიც აღარ გიხილოს ჩემმა თვლებმაო. ნულარ მიხილავს ბარემ... მე ლოგინიდან წამოვარდი. წავედი სადაც. სად?—ეს არც მე ვიციდი. რისთვის?—არც ეს მქონდა კარგათ გამოგვეულო. უცებ ვილაკამ მკლავში ხელი წამავლო. საშინლათ შემეშინდა, ჩავაჩერდი თვლებში. არც სინათლე იყო და არც სიბნელე.

— თელორე ხარ? წამომცდა უცებ,—აქ რამ მოგიყვანა.

— სუჰ, შენი ნახვა მინდოდა. თურმე შენ გამოგატეხეს ხომ კი იცი, რომ მაგისთვის გამოგადგებენ. რაღას შობი ახლა?..

— რაღა დამჩენია...

— სუჰ, ჩუმათ! გამოგონე! ახლავე შენ უნდა შეიპარო აღმზღელის ოთახში და მოჰპარო მას გასაღები! გესმის?!..

— რაფერ ექნა მაგი, ჩემ დღეში არაფერი არ მომიპარავს.

— უნდა ჰქნა, თორემ გამოგადგებენ.

— რომ შემიტყონ?!..

— მერე რა წავიხდება, მაინც ხომ უნდა გამოგადგონ და მეტი სასჯელი არც მიშინ მოგიწყეს. აბა, გაიპარე ნელ-ნელა!..

თელორემ ხელი წამკრა და მეც მართლა წავედი იქითკენ; კარები ღია დამხვდა. ოთახი ლენის სუნით იყო აყროლებული. თითონ აღმზღელი იქვე ლოგინზე სკრინავდა. ტანისამოსი სკამზე ჰქონდა დაწყობილი. მე მიეუახლოვდი. კანკალმა და ფრქოლამ ამიტაცა—მიველ სკამთან. მისი პირიდან ლენის ორთქლი ამოდიოდა. შარავალს ხელი მოგვიდევ. აღმზღელმა რაღაც ნაირი ბუტბუტი დაიწყო, ლენის



ქებაში იყო. მე ფენები მიკანკალვდა. მან ახირებულ-  
ლი ხროტინი ამოუშვა. ამან ცოტა გამამხნევა, და-  
ვაელე სკამს ხელი და ტანისამოსებიანათ გარეთ გამო-  
ვიტანე. გასაღები მოენახეთ. უჯრა გავადეთ და ტიკ-  
ქორაც ამოვიღეთ.. მაგრამ უწინ ტიკქორა ჩამრგვა-  
ლებული იყო. ახლა კი გაგრძელებულიყო. ეტყო-  
ბოდა, ღვინო ბლომით დაჰკლებოდა. თედორემ უჯ-  
რაში ჩაიხედა, ხომ არ გასდენიაო. მერმე მკითხა,  
ოთანში ღვინის სუნი ხომ არ არისო.

— კია მეთქი, ეუპასუნე.

— უი, მაკ ვაქბატონს გადაუკრავსო — ჩაილაპა-  
რაკა თედორემ და ტიკქორა სადღაც გააფრინა. წა-  
მის განმავლობაში ტიკქორა ისევ ჩამრგვალებული  
მორტანა. ღვინის მაგიერათ ახლა თედორეს სულით  
იყო გაბერილი. ტიკქორა უჯრაში ჩადო, დაკეტა  
ძველებურათ და გასაღებიც აღმზღელის შარგელ-  
ს ჯიბეში ჩადე; სკამი ავიღე ტანისამოსებიანათ  
ძველ ადგილზე დაედგი. მერმე თედორემ დამარი-  
გა, როგორც უნდა მოექცეულიყავი. მეორე დღეს  
და თითონ თვალის დახამხამებაში სადღაც გაჰქრა.

მეც ჩემი ლოგინისაკენ წავებარბაციდი და დაქან-  
ცული ჩვეყვეცე ჩემ საწოლში. გონზე ვერ მოვესუ-  
ლიყავი, ეს სიზმარში მოხდა, თუ ცხადათ..

ქ. ოღესა.

შანთენ გოთუა.

(შემდეგი იქნება)

გაზეთ „კავკასი“-ში დასტავებულია ბ.ნ. ა. ახნაზა-  
როვის წერილი რედაქციას მიმართ, რომელითაც იგი  
ამტკიცებს, რომ ლექსი „აწა, აწ მანდა“ „კავკასის“  
უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილი ეკუთვნის ბ.ნ. ახნაზა-  
როს და აწა გ. ზურაბიშვილს. ეს ლექსი ავტორს აიგე-  
რიაში (№ 40, 1894 წ.) დაუბეჭდია კენტის მსუგდო-  
ნობით. სსკათა შორის ბ.ნ. ახნაზა-როვი თავის წერილ-  
ში ამბობს: „მე აწა მსურს ნამდვილა სსკელი გუწოდო  
გ. ზურაბიშვილის საქციელს, რადგან იგი გაწეს თავის-  
თავით ადგება ენაზე; მსოფლით გთსოვ „კავკასის“ რე-  
დაქციას, რომელიც შეცდომაში შეუყვანია ბ.ნ. ზურაბი-  
შვილს, გადაბეჭდოს ეს წერილი და მისთვისვე მიმინდ-  
ვის ბ.ნ. ზურაბიშვილის საქციელის დირსეული დაფა-  
სება“.

„კავკასის“ რედაქცია სრულიად ეთანხმება აქ  
გამოთქმულ აზრს ბ.ნ. ზურაბიშვილის შესახებ და  
თავის მხრივ მხოლოდ შენიშნავს, რომ ასეთი საწყუ-  
ხარო შეცდომის თავიდან აცილება ზოგჯერ სრუ-

ლიად შეუძლებელია, რადგან ყველა პატარა ლექსის  
დახსოვება, რომელიც კი დაბეჭდილი წარსულ პე-  
რიოდულ გამოცემებში, არ ძალუძს არა მეს-  
ერებას.

„კავკასის“ ფოსტა.

ოზურგეთი სოფ. დიმ. ის. ს. - იას. თქვენი გა-  
მოგზავნილი ცნობა უსათუოთ კარგი იქნებოდა და  
თუ არ დაიბეჭდა ამასაც უსათუოთ მიზნში ექნება.

ჭედქორე-გამომცემელი ან. თ. წყნელიძის

# განცხადება

ქართული წიგნების მაღაზია:

ი. იმედაშვილის და ს. ჰელიძისა

რეკლამა გიორგევის ქუჩაზე (ალექ. ბლის  
პირდაპირ) არჯვენიძის სახლში № 14., სადაც ყო-  
დულობენ და ჰყიდიან ყოველ გვარ ქართულ წიგ-  
ნებს და სხვა პერიოდულ გამოცემას. ჰყიდიან და  
ჰყიდულობენ აგრეთვე რუსულ საკითხავ და სახელ-  
მძღვანელო წიგნებს. (4-1)

„აღმოსავლეთის მაღაზია“

პატივი მაქვს ვაუწყო საზოგადოებას რომ მე  
გაველე „აღმოსავლეთის მაღაზია“ რომელიც განსაკუ-  
თრებით იტყუებს კავკასიის, იაზონიის და საზოგადოთ  
აღმოსავლეთის საუცხოოთ დამზადებულ ნაწარმოებით.  
თბილისში ლორის-მელიქოვის ქუჩა სემინარიის პირ-  
დაპირ № 4.

ი. ნ. მეტეველიძე.

კბილის ეტიმი

# ვ. ი. ჭიჭინაძე

ნიკოლოლოზის ქუჩა, № 21, სახლი, ე.  
საგინავისა, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.